№ 11

1877—1905

№ 11

...რა, 27 თებერვალი.

კვირა, 27 თებერვალი.

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. 50 კაპ., თვეში 1 მანეთი.

რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.

დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წვრილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთი თვის განმავლობაში.

ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверія“

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ცალკე ნომერი 3 კაპ.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონის პეტიტით: პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ., წლიური განცხადება—მორიგებით.

განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: პუშკინის ქუჩაზე, № 11, საკრედ. საზ.-ბის სახლში.

ტელეფონი № 922

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“

1905 წ. გამოდის ყოველ-დღე, ორშაბათობითაც.

წლის განმავლობაში რედაქცია დაურიგებს ხელის მომწერლებს

პრემიად 12 წიგნს

საერთო სათაურით: **„ივერიის ბიბლიოთეკა“**, რომელშიაც მოთავსებული იქნება: ბელეტრისტული და სამეცნიერო თხზულებანი და წერილები ქართველ და უცხო მწერალთა.

გაზეთში და საპრემიო წიგნებში იქნება მოთავსებული **სურათები** და **ილლუსტრაციები**.

გაზეთის ფასი: 15 თებერვლიდან წლის დამლევამდის 8 მან. 50 კაპ., რომლის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

ცალკე ნომერი გაზეთისა ღირს 3 კაპ.

რედაქცია იმყოფება პუშკინის ქუჩაზე, № 11, საკრედიტო საზოგადოების სახლში (მესამე სართულში).

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція газ. „Иверія“.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

მ. ყ. ჩიქოვანი—9 საათიდან 10 საათამდე—თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. გ. ავეტისიანცი 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ზ. ი. გაბანასოვი—დილის 11—12 საათ.—ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. გძელიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

გ. ა. თარხანოვი—1—1½ საათ.—შინაგანის და ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

გ. სოლოლაშვილი—9—11 საათამდე. კბილების ავადმყოფობანი.

ექიმი ქალი **ა. ი. შჩერბინინა**—1½—2 საათ.—ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

საღამოობით:

გ. ა. თარხანოვი—7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

პ. ა. არდაზიანი—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ბაქტერიოსკოპიულ გამოკვლევას, 5—7 საათ.

ხ. ტ. არჯანიტაკი. 11—1 ს.—უკეთებს მასაჟს, (მსურველთ სახლში) და აცრის ყვავილს, გამართავს საექიმო გიმნასტიკას, ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი **ქ. გძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра **Навасардіана.**
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. წლ.

ტფილისის ექიმები.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის საათიდან 6-მდე. ოლღას ქუჩა, № 15.

გძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლი მილოვისა, № 5.

კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლღას ქუჩა, № 31.

ვ. ს. მუსხელაშვილი—კიროჩნისა და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათისა.

ვაწაძე სფირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

დიასამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18.—იღებს ავადმყოფებს დილით—9—11 და საღამოთი 6—8-საათამდე.

გაბაშვილი გრიგოლ—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

ბესარიონ პაპოვი—ყელ-ყურისა და ცხვირის ავადმყოფობის ექიმი—1—2 საათ. და 5—7 საათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლი № 157.

უდანაშაულო მსხვერპლი

ჩვენი დღევანდელი ცხოვრება იმდენის უსამართლობით არის სავსე, იმდენ გულის ამაშფოთებელ ფაქტებს შეიცავს, რომ მეგაზეთე ყოველთვის გაჭირვებაში არის და არ იცის, სად და როგორ გამონახოს ისეთი „ნათელი“ საგნები, რომლებიც მკითხველს მწუხარებას არ აღუძრავდეს და სულიერ სიმშვიდეს არ ურღვევდეს... პრესსა სარკეა ცხოვრებისა და მას არ შეუძლია ის არ აღნიშნოს და მოიხსენიოს, რაც რეალურ ცხოვრების შინაარს შეადგენს და მასში არსებულ განწყობილებას ახასიათებს. ჩვენი ცხოვრება-კი, ვიმეორებთ, სავსეა ჭირ-ვარამით, სავსეა ძალ-მომრეობისა და უსამართლობის მაჩვენებელ ფაქტებით!.. ეს ისეთი ფაქტებია, რომ როცა მათზე დაფიქრდებით, ძალა-უნებურად სისხლი ყელში გაწვებათ, თვალები გენთებათ, სახე სიბრაზისგან გეცვლებათ და არ იცით, როგორ და რა გზით მისცეთ გამოხატულება თქვენს გულის-წყრომასა და აღშფოთებას...

მკითხველს ვთხოვთ, ყურადღება მიაქციოს ჩვენის თანამშრომლის ბ-ნ ის.-არიძის დღევანდელ ფელეტონს. იქ იგი ნახავს ციფრებს, ჰპოვებს დინჯ კილოს, მაგრამ იმ კილოთი და იმ ციფრებით ისეთი ფაქტებია გადმოცემული, რომ არ გვგონია, მისმა წაკითხვამ თითოეული ჩვენგანი არ ააღელვოს და ჩვენს ბეჩავ მდგომარეობაზე მწარედ არ დააფიქროს.

აგერ თითქმის ოცი წელიწადია, რაც ჩვენში დააწესეს საყოველთაო სამხედრო ბეგარა,—ქართველები გაჰყავთ სამხედრო სამსახურში ჯარის კაცებად. როცა ამ „ბეგარასი გვაკისრებდნენ,—გვეუბნებოდნენ, რომ საქართველო ნაწილია რუსეთისა, რომელიც მას იფარავს გარეშე მტრებისაგან, და ამიტომ იგი ვალდებულია შრომა და ხარჯი გაიღოს თავის დაცვისა და უზრუნველყოფისათვისო. ხალხიც შეეჩვია ცვლილებას და დაემორჩილა ბედს... ყველას ისე ჰქონდა წარმოდგენილი, რომ ქართველებისაგან ჯარის შედგენა საჭირო იყო საქართველოსა ან კავკასიის დასაცავად და არა მშვიდობიანობის დროს ტომსკისა ან იაკუტსკის გუბერნიაში გასაგზავნად...

მაგრამ ის, რაც ჩვენ გვეგონა, სრულიადაც არ ყოფილა ჩვენგან კარგად ცნობილ «პოლიტიკას». ჯარის კაცებს სწავლება და მომზადება დაუწყეს არა ჩვენში, არამედ შორეულ ჩრდილოეთში. თითქოს აქ, კავკასიაში, არ არიან გენერლები, არ არიან აფიცრებიო,—ქართველ გლეხის შვილს, სალდათის ფარაჯაში გამოწყობილს, ციმბირისაკენ უკრეს თავი და ათასი ვერსის მანძილზე დააშორეს სამშობლოს, დედ-მამას, სახლსა და კარს. ქართველ გლეხს ღმერთმა უბედურობა არგუნა და ქართველად გააჩინა, რომელმაც თოფის სროლა კი იცის, მაგრამ არ იცის რუსული გრამატიკა და რუსული ენა. თურმე მისი განსხვავებული ეროვნება, გვარტომობა ვნებს და აბრკოლებს სახელმწიფოს, რომელსაც ერთი საზოგადო სახელი აქვს და ამიტომ ვერ იგუებს მასში მცხოვრებ ხალხთა ეტნოგრაფიულ სხვადასხვაობას. უეჭველად საჭიროა ამ ხალხთა გადაგვარება, გადარჯულება, ერთ ქვაბში გატარება და ამგვარად მათი თავისებურობის მოსპობა და გაქრობა. ქართველი ჯარის კაცი, რომელიც საქართველოშივე იხდის სამხედრო ვალდებულებას, ხედავს თავის ნაცნობებს, ნათესავებს, დედ-მამას, ლაპარაკობს ქართულად, გრძნობს ქართველ ხალხის გაჭირვებასა და გულის ცემას, არის მასთან დაახლოვებული სისხლით და სამსახურის ადგილითაც,—თურმე ვერ შეასრულებს სახელმწიფოს მოთხოვნილებას და ვერ დააკმაყოფილებს მთავრობას. საჭიროდ სცნეს მისი შორს წაყვანა და სულ სხვა უცნობ ხალხსა და გარემოებაში ჩაყენება, რომ მას ამ გზით შეეთვისებია რუსულ ყაზარმის „კულტურა“...

რა ნაყოფი მოაქვს ამ განკარგულებას? ამაზე ციფრებით გვაძლევს პასუხს ბ-ნი ის—არიძე თავის ფელეტონში. ქართველი, რომელიც ნაზის აგებულებისაა და შეჩვეულია აქაურ თბილ ჰავას, ვერ იტანს რუსეთის მკაცრ ჰავას და უდროვოდ ესალმება ქვეყნიერებას. ქართველი ჯარის კაცები წყდებიან, იღლიტებიან რუსეთში და, მიუხედავად ამისა, მათ მაინც იქითკენ ერეკებიან და ამგვარად ყოველ დღე მსხვერპლთა რიცხვს ამრავლებენ და ასობით ქართველ ოჯახებს ძალად შავებს აცმევენ.

ნუ თუ უყურადღებოდ დასატოვებელია ასეთი შემაძრწუნებელი ვითარება? ძალად სიცოცხლე მოუსპონ ადამიანს, ძალად უდროვო სიკვდილის კერძად გახადონ მხოლოდ იმიტომ, რომ იგი სხვა ტომისა, სხვა ერის შვილია, სხვა ენაზე მოლაპარაკეა! ძალად საფლავში ჩაუყვანონ არა ომიანობისა და გამოცხადებულ ბრძოლის დროს, არამედ მაშინ, როცა მშვიდობიანობა და ცხოვრების ჩვეულებრივი მიმდინარეობაა! ასეთი ამბები უნდა ხდებოდეს მეოცე საუკუნეში, იმ დროს, როცა რუსეთის მოწინავე საზოგადოება სამართლიანობასა და უფლებებზე ლაპარაკობს? და სად არის უფლება ქართველ ჯარის კაცისა, რომელსაც უნდა სიცოცხლე და სიცოცხლით სიამოვნება, სად არის უფლება ერისა, რომელსაც სჭირია სახალხო ძალის გაზრდა და გამოზოგება? აბა ვინ მოსთვლის, რამოდენა ძალ-ღონე აკლდება ხალხს იმით, რომ მრავალი ჯან-ღონით სავსე ახალგაზდა, რუსეთის ჰავის წყალობით, წუთისოფელს ესალმება ან სამუდამოდ სნეულდება?

და ეს გარემოება, მკითხველო ჩემო, დიდად და დიდად დამაფიქრებელია. მასზე საჭიროა ზრუნვა, საჭიროა ქართველ ჯარის-კაცების დახსნა უდროო სიკვდილისაგან. კავკასიელი მხოლოდ კავკასიის ჰავას ეწყობა და ამიტომ იგი არ უნდა იგზავნებოდეს შორეულ გუბერნიაში, რომლის გაყინული მიწა მას მოკლე ხანში ცივ სამარედ უხდება!

მოსწავლეთა მდგომარეობა

სასწავლებლებსა და მათ შინაურ ცხოვრების შესახებ წერა ამდენ ხანს ჩვენთვის აკრძალულ ხილს წარმოადგენდა. საზოგადოებასა და მათ შორის ჩინური კედელი იყო აღმართული. ჩვენს პრესსაში თქვენ ვერ შეხვდებოდით ვერავითარ ცნობებს იმათ შესახებ. სულ ყველაფერი დამალული და ცხრა კლიტულში შენახული იყო. ყველა სდუმდა... საზოგადოებას ეგონა, რომ ყველაფერი კარგად და ღირსეულად იყო მოწყობილი. ვინც კი უწყოდა: რამდენი ცრემლი, რამდენი ტანჯვა და წვალება, რამდენი ფრთა შეკვეცილი ოცნება და სიხარული იყო შეგუბებული ამ დუმილში, ის ცდილობდა, რამე ეთქვა, მაგრამ პირდაპირ ვერაფერს ამბობდა და იძულებული იყო მოსდებოდა ლობე-ყორეს, იწუნებდა რაღაც მეთოდებს, თითქო სხვა არაფერი ყოფილიყოს დასაწუნარი, და ნატრულობდა, რომ პირველ დაწყებით სკოლებში პირველი წელიწადი მაინც ქართულად ასწავლეთ ბავშვებსო. მეტის ნატვრასაც ვერ ბედავდა. პრესსა სდუმდა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავდა, რომ თვით ცხოვრებაც დადუმებული იყო. ის წინ მიდიოდა, მოძრაობდა, მღელვარებდა და სდუღდა, ზოგს ჭირ-ვარამსა ქედმოდრეკილად ითმენდა, ზოგის შესახებ კი თავისებურად პროტესტს აცხადებდა. მაგრამ ყველაფერი ეს სასწავლებლების კედლებში ხდებოდა და ძვირად თუ რაიმე მხოლოდ მძლავრი უსამართლობა თუ პროტესტი პრესსის ფურცლებზედ გამოიფინებოდა. მაგრამ ბოლოს ესეც აკრძალულ იქმნა.

დღეს ჩვენ ნათლად დავინახეთ, რომ მოსწავლეებმა ველარ შეიკავეს თავისი აზღვავებული გრძნობები, თვითონ გადმოლახეს სასწავლებლის კედლები და ქუჩაში გადმოვიდნენ. დღეს არავისთვის საიდუმლოებას არ შეადგენს, რომ, როგორც ტფილისში, ისე ქუთაისს, გორს, ბათუმში და სხვაგანაც საშუალო სასწავლებლების მოწაფეებმა დემონსტრაციები მოახდინეს, რაც ოფიციალურად იყო გამოცხადებული გაზ. „კავკაზში“ და იქიდან გადმობეჭდილი ჩვენის გაზეთის ფურცლებზეც. რაკი მოწაფეები ქუჩაში გამოვიდნენ, სასწავლებლის კედლებს გამოშორდნენ, ჩვენც აღარ შეგვიძლიან თავი შევიკავოთ და ნებას ვაძლევთ ჩვენს თავს შევეხოთ წინანდელ აკრძალულ ხილს. მოწაფეთა გაფიცვა იმდენად დიდმნიშვნელოვანია, იმდენად საჭირბოროტო საგანია, რომ მეტი ჩვენი სიჩუმე ორკეც დანაშაულობად ჩაგვეთვლება. და რამდენად ეხლანდელი ჩვენი პირობები ამისათვის ხელს გვიწყობენ,—ეს საგანი უნდა გამოვიკვლიოთ. რა არის მიზეზი, რომ სასწავლებლებში მღელვარება და არეულობა დაიწყო? ეს მიზეზები საერთოა მთელის რუსეთისათვის, თუ მხოლოდ ჩვენის კერძო ცხოვრებით არის გამოწვეული? რამ გამოწვია უკმაყოფილება იქამდის, რომ ზოგ ადგილას საქმე სისხლის ღვრითაც დასრულდა? რამდენად არიან დამნაშავე ამ საქმეში ჩვენი საერთო ცხოვრება, სასწავლებლების ადმინისტრაცია, პედაგოგები, არსებული წესები და პროგრამმები და რამდენად თვით მოსწავლეები და მათი მშობლები?

სახელდობრ, რაში გამოიხატა ეს უკმაყოფილება და არეულობა, რა ზომებია საჭირო, რა საშუალებას უნდა მივმართოთ, რომ წესიერება დამყარდეს და ჩვენი მომავალი თაობა, ჩვენი იმედი და ნუგეში დაწყნარდეს და ისეთი მომზადება მიიღოს სასწავლებელში, რომ ქვეყნისთვის საჭირო და საიმედო იყოს?

ამ საგნის შესახებ ჩვენ ერთის აზრისა უნდა ვიყვნეთ, ერთნაირი მსჯელობა უნდა გვქონდეს, ერთი გზა უნდა ავირჩიოთ. ყოველივე განუსაზღვრელი აღტაცება თუ სიმკაცრე, სიმპატია თუ ანტიპატია, ქება თუ გაკიცხვა — ყველაფერი უნდა ავწონ-დავწონოთ, დაბეჯითებით შევიტყოთ ყველაფერი და ისე დავსდოთ ჩვენი მსჯავრი. საქებარი ვაქოთ და გასაკიცხი კი გავკიცხოთ. სამწუხაროდ, ჯერ ჩვენი საზოგადოება ამ საგანზე ათასნაირ აზრს ადგია და ვერ აუხსნია ვერც მიზეზები და ვერც ამ მოვლენის შედეგები წარმოუდგენია:

ერთი ამბობს: ყველაფერი მავნე პროპაგანდის ბრალია, გარყვნეს ჩვენი მოწაფეები, რა მათი საქმე „ბუნტობანას“ თამაშობა. მათი საქმე სწავლაა და უნდა ისწავლონ; ვინც არეულობას ახდენს, ის სასტიკად უნდა დაისაჯოს, ვერც ერთი საზოგადოება და მთავრობა ვერ მოიწონებს ამისთანა პროტესტს, რომელიც ძირიან-ფესვიანად უნდა მოისპოს და შეწყდეს ახლავე, რომ ცუდი პრეცენდენტები არ გავაჩინოთო...

მეორე ამბობს: ჩვენი ბავშვები დაღუპა წახედულობამ. ყველგან რუსეთში არეულობა არის. ოჯახებშიც არ ერიდებიან ამაზედ ლაპარაკს, ჰაერშიც არეულობის სუნია, ჩვენს ბავშვებსაც გადაედო ეს ავადმყოფობა, ისინიც აღარ ჩამორჩნენ სხვებს. ჩვენ უნდა ვუწამლოთ, ყოველივე ღონისძიება ვიხმაროთ, რომ ეს ავადმყოფობა შეჩერდეს და ბავშვები მალე სავსებით გავკურნოთ ამ საშიშარ გადამდებ სენისაგანო...

მესამე ამბობს: მიზეზები სკოლის კედლებში უნდა ვეძიოთ, მართლაც გაჭირვებულია მოწაფეთა მდგომარეობა. მაგრამ რა ვქნათ, განა მარტო ისინი არიან ამ მდგომარეობაში? უნდა მოითმინონ, როგორც აქამდის ითმენდნენ. თვითონ ხმაც არ უნდა ამოიღონ, ჩვენ ვიზრუნებთ მათთვის და მათ ცხოვრებას გავაუმჯობესებთო.

მეოთხე ამბობს: აქ საერთო მიზეზები უნდა ვეძიოთ. საერთოდ ძნელია ცხოვრება. თუ საზოგადოდ გაუმჯობესდა ცხოვრება, ეს გაუმჯობესება სასწავლებლებზედაც გავრცელდება. ბავშვების პროტესტი აქ სრულებით უადგილოაო.

მეხუთე ამბობს: ყველა-ყველა, მაგრამ ჩვენი ქართველი მოწაფეები რაღას მეტიჩრობენ. რა მათი საქმეა არეულობაში გარევა. რაც სასწავლებლებია, იმასაც დაგვიკეტენ; გაჩერდნენ თავისთვის და უცადონ, სანამ რუსეთში გააუმჯობესებენ მოწაფეთა მდგომარეობას. მთავრობა დააფასებს ჩვენს კარგ ყოფა-ქცევას და უსათუოდ ჩვენც მოგვანიჭებს იმ რეფორმებს, რასაც სხვაგან მოიღებენო.

მეექვსე ამბობს: თუ საზოგადოდ მოსწავლეების მდგომარეობა ძნელი და აუტანელია, ჩვენი ქართველის მოსწავლის მდგომარეობა ხომ საშინელებას წარმოადგენს. ის მოკლებულია ყველაფერს და წინ სვლისა და განვითარების მაგიერად ფუჭდება და სახიჩრდება, ამიტომ ქართველ მოწაფეს უფრო მეტი საბუთი აქვს მოიქცეს ისე, როგორც ახლა იქცევაო.

ერთი ყველაფერს აბრალებს პედაგოგების უვარგისობას, მეორე მშობლების უგუნურობას, მესამე მოწაფეთა ცუდლუტობას და სხვა, და სხვა. ვიმეორებ, ასეთი სხვადასხვა აზრებია ამ საგანზე და აქ კი უსათუოდ საჭიროა რომ ერთ გზას დავადგეთ. ასეა თუ ისე, დამნაშავეს სკამზე დამჯდარი არიან არსებული წესების და პროგრამების წარმომადგენლები, მასწავლებლები, მოწაფეები და მშობლები. სამწუხაროდ იმის მაგივრად, რომ ეს ელემენტები ერთად თანხმობით და ნდობით მოქმედებდნენ,—მტრად გადაქცეულან და ერთი მეორეს სდებენ ბრალსა.

ჩვენ მივმართავთ თხოვნით ამ ელემენტების წარმომადგენლებს, თავიანთი მხრით გამოსთქვან, შეგვატყობინონ ნამდვილი გარემოება, გულახდილად აღიარონ თავის იარები და მაშინ წამალიც ადვილი საპოვნელი იქმნება

ამდენ ხანს მარტო პედაგოგებსა ჰქონდათ შეძლება, რომ თავისი აზრი გამოეთქვათ. მშობლებს კი ეს არ შეეძლოთ. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ იმათაც ბევრი აქვთ სათქმელი. რამდენადაც ეს ახლანდელ პირობებში შესაძლებელი იქნება, ჩვენ სიამოვნებით დავუთმოთ ადგილს იმათ წერილებსაც.

ერთის სიტყვით, ჩვენი გულითადი მისწრაფებაა, რომ საგანი კარგად გამოვარკვიოთ და ავხსნათ. ამიტომ საჭიროა, რომ დაინტერესებულმა პირებმა გამოსთქვან თავიანთი აზრი დაუფარავად.

ხოლო ჩვენ ამავე საგანს მალე, დავუბრუნდებით და ჩვენს შეხედულებას შეძლებისადაგვარად, დავასაბუთებთ.

ფრიდონ.

დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

25 თებერვალი

მინსკი, 25 თებ. საზოგადო ბიბლიოთეკა მთავრობის წინაშე შუამდგომლობს, რომ ნება მიეცეს იქონიოს ყველა ცენზურის მიერ ნება დართული წიგნი, არ იქმნეს შეზღუდული მისი უფლებანი და გაიხსნას იგი. სტამბებში 9 საათი სამუშაო დღე დაწესდა.

პეტერბურგი, 25 თებერ. შინაგან საქმეთა მინისტრის თანაშემწე ვატაცი დაინიშნა წევრად განსაკუთრებულ საბჭოსი,—სასოფლო სამეურნეო მრეწველობის საჭიროების განმოფილებისა.

ბათუმი, 25 თებ. ქალაქში სიწყნარეა. მეტარებლების მიმოსვლა დაიწყო. სადაც გემებიც სიარულს დაიწყებენ.

ვარშავა, 25 თებ. პოლიციელებზე თავდასხმა არ შეწყვეტილა, გუშინ ბოქაული დასჭრეს. ბოროტმოქმედი დაიმალა.

მოსკოვი, 25 თებ. შეიკრიბა ოცამდე ქალაქის მოურავი—სხვადასხვა ქალაქების წარმომადგენელნი, რომელთაც ქალაქების მოურავთა მომავალ კრებას მასალა უნდა მოუმზადონ. მოურავთა მომავალ კრებაზე საქალაქო დებულების შესახებ ექმნებათ ბჭობა.

ლონდონი, 25 თებ. ხვალ „ტაიმს“-ში დაიბეჭდება წერილი ლ. ტოლსტოისა შესახებ რუსეთის შინაურ საქმეებისა.

ლანსდოუნმა რუსეთისგან ის ფული მიიღო, რომელიც დაზარალებულ მეთევზეებს უნდა გადაეცეს და რუსეთს ხელწერილი მისცა, ამის შესახებ დავას აღარ აგიტებთო. დღევანდელმა დღემ მშვიდობიანად ჩაიარა.

ბათუმი, 25 თებ. აქ ისევ ჯარი სდგას.

კრონშტადტი, 25 თებ. ნავთ-სადგურში, სახომალდო და სხვა ქარხნებში მუშაობა შეუწყვეტლივ სწარმოებს.

ვარშავა, 25 თებ. უნივერსიტეტის საბჭომ გადასწყვიტა სწავლა წლის ბოლომდე არ დაიწყოს.

ნოვოჩერკასკი, 25 თებ. ბავშვთათვის მზრუნველ საზოგადოებამ კრებაზე დაადგინა მოსთხოვოს ადგილობრივ უმაღლეს მთავრობას საჭირო ზომების მიღება, რათა ნოვოჩერკასკის ბავშვებსაც არ დაატყდეს თავზე ის ცემა-ტყეპა, რომელიც სხვა ქალაქებში უმაწვილებმა განიცადეს.

პეტერბურგი, 28—31 იანვარს მინისტრთა კომიტეტს ბჭობა ჰქონდა მრეწველთა და მუშათა შორის სასურველ ურთიერთობის დამყარების შესახებ და საჭიროდ დაინახა: I. ა) მუშათა და მრეწველთა შორის ურთიერთობის მოწესრიგება და იმ ღონისძიებათა გამოძებნა რომელიც უნდა მიღებულ იქმნას საფაბრიკო-საქარხნო კანონმდებლობის განსავითარებლად, აგრეთვე თვალყურის დევნება იმაზე, რომ ადგილობრივ საფაბრიკო ინსპექციის მოხელეებმა გუბერნატორის ზედამხედველობით სავსებით განამტკიცონ მუშათა და მრეწველთა შორის სასურველი ურთიერთობა,—ისევ ფინანსთა სამინისტროს [illegible] დებარებოდეს და საფაბრიკო ინსპექციის ორგანოებიც მხოლოდ მის ხელქვეით დარჩეს; ბ) მუშათა და მრეწველთა შორის ურთიერთობის მოწესრიგება უნდა მოხდეს მხოლოდ კანონიერის გზით და ამ ურთი-ერთობის მოწყობა-მოწესრიგებაში არავითარ ორგანიზაციას, რაც კანონში არაა აღნიშნული, ადგილი არ უნდა ჰქონდეს. II. ფინანსთა მინისტრს მიენდოს, დაუყოვნებლივ შეუდგეს შემდეგ საგანთა შემუშავებას: ა) როგორ უნდა მოეწყოს განხილვა და გადაწყვეტა სამრეწველო დაწესებულებებში მუშათა დაქირავების საკითხისა, აგრეთვე ისიც, თუ როგორ უნდა მოწესრიგდეს ფაბრიკა-ქარხნების მუშათა ყოფა-მდგომარეობის გაუმჯობესება; ბ) რამდენად შესაძლოა, რომ შემოკლებულ იქმნას სამუშაო დრო, 1895 წლის 2 ივნისის კანონთა შედარებით; გ) როგორ უნდა შეიცვალოს მუშათა გაფიცვის შესახებ აწ-არსებული დებულებანი, დ) რა სახით უნდა მოწესრიგდეს მუშათა მოვლა და წამლობა ავადმყოფობისა ან დაშავების დროს და სხვ.; ფინანსთა მინისტრს მიენდო აგრეთვე შემუშავება ისეთ საგანთა, რომელიც გამორკვეულ იქმნება ზემოხსენებულ ღონისძიებათა განხილვის დროს, და მასთან ერთად განსაზღვრა საფაბრიკო ინსპექციის უფლება-მოვალეობათა. III. ზემოხსენებულ საგანთა მოსაწესრიგებლად და კანონ-მდებლობის შესადგენად დაარსდეს კომისია ფინანსთა მინისტრის თავმჯდომარეობით; ამ კომისიაში წევრებად იქმნებიან ისინი, ვისაც მისი უდიდებულესობა დანიშნავს, აგრეთვე სათანადო უწყებათა წარმომადგენელნი. კომისიის მოვალეობა იქნება—იხელმძღვანელოს მუშათა და მრეწველთა შეხედულება-განმარტებით და მოიწვიოს კომისიის რჩევაზე ისეთი კაცები, რომელნიც ცნობილნი არიან მუშათა ყოფა-მდგომარეობის შესახებ თავიანთის მეცნიერულისა თუ ლიტერატურულის შრომით და პრაქტიკულად გაცნობილი აქვთ ის მხარე, რომლითაც შეიძლება რუსეთში განხორციელდეს ზემოხსენებული კანონმდებლობა. კომისიაში უნდა მოწვეულ იქმნენ აგრეთვე ისეთნიც, რომელთაგანაც მოსალოდნელია სასარგებლო რჩევის მიცემა კომისიისთვის. IV. სათანადო მინისტრებს ნება მიეცეთ მათგან დანიშნულ წარმომადგენელთა საშუალებით გამოსთქვან თავიანთი აზრი ამა თუ იმ უწყებათა შესახებ. განთავისუფლებულ იქმნას ფინანსთა მინისტრი სხვა მინისტრებთან მიწერ-მოწერისაგან. V. დაევალოს ფინანსთა მინისტრს, რომ მის თავმჯდომარეობით შემდგარ კომისიაში შემუშავებული კანონ-პროექტები ხსენებულ საგანთა შესახებ დაუყოვნებლივ წარუდგინოს დასამტკიცებლად სახელმწიფო საბჭოს. ასეთი დადგენილება მინისტრთა კომიტეტისა 20 ამა თებერვალს უმაღლესად დამტკიცებულ იქმნა.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან).

25 თებერვალი.

პეტერბურგი, 25 თებ. უქვეშევრდ. დეპეშა გენ.-ად. კუროპატკინისა ხელმწიფისადმი, 25 თებერვლის თარიღით: „ყველა ლაშქარი უკან იწევს.

წუხელის ბრძოლა აღარ ყოფილა, თუმცა თოფისა და ზარბაზნების სროლა თითქმის არ შეწყვეტილა მთელ ღამეს.

ტოკიო, 25 თებ. იაპონელებმა აიღეს ტიტურუსები, მედგრად იცავენ სიმაგრეებს ხუნხეს ჩრდილოეთით. ნამქერმა ბრძოლა შეაჩერა.

პეტერბურგი, 25 თებ. უქვეშ. დეპეშა გენ.-ად. კუროპატკინისა, 24 თებ. თარიღით: „სამხრეთ და დასავლეთ ფრთეების პოზიციებზე მტერი დღეს ასე მედგრად აღარ გვებრძოდა. დილის 10 საათზე მომახსენეს, რომ მტერმა, ბრძოლის შემდეგ, აიღო სოფ. კიუზანი, მუკდენიდან აღმოსავლეთით 20 ვერსის მანძილზე მდებარე. მტრის მთელი ძალა მოაწვა ჩვენს სამხრეთ შუბლის ჯარს იმ აზრით, რომ გაერღვია ჩვენი ჯარები და გზა გაეკაფა მუკდენისა და რკინის გზისაკენ. სოფ. სინტაიტი, მუკდენის ჩრდილოეთ-დასავლეთით 6 ვერსზე მდებარე, იაპონელებს ეჭირათ, მაგრამ ეხლა დასცალეს. სოფ. ხენიტუნთან 4 ვერსზე მტერს წავართვით ორი ტყვის მფრქვეველი და ბლომად იაპონელებიც დავატყვევეთ. იაპონელთა ჯარები განაგრძობენ ჩრდილოეთისკენ წინ-სვლას, ტასინტუნი, სადგ. ხუშინტანის ჩრდილოეთ-დასავლეთად 10 ვერსზე მდებარე, აიღო იაპონელთა რაზმმა.

გენ. ოკუს ლაშქარი, 25 თებერვალი. უმნიშვნელო ბრძოლა სწარმოებს. საზოგადოდ საქმეთა მდგომარეობა არ შეცვლილა. ჯარები ჩრდილოეთისკენ მიემართებიან, ალბად ჯარებისათვის საშველად.

ჩიფუ, 25 თებ. პორტ-არტურიდან მოსულნი სჩივიან, ნუზლ-სანოვაგე საკმაოდ არააო. დალნიში ყოველ დღე მოდიან ტრანსპორტები და ჯარები მოჰყავთ. დალნიდან სამშობლოში თითქმის ყოველ დღე 4,000-მდე დაჭრილ იაპონელებს ისტუმრებენ. ამ სამ დღეში მოიყვანეს 200 დატყვევებული რუსი. მდ. ლიაოხეზე ყინული დაიძრა.

ტოკიო, 25 თებ. (რეიტერი). რუსებს მუკდენის დასავლეთად ორი კორპუსი ჰყავთ. იაპონელებმა დაანგრიეს რკინის გზა, წინ მიდიან ჩრდილოეთისკენ და ფუშანს მიუახლოვდნენ. იაპონელებმა რუსებს ბევრი ზარბაზანი წაართვეს.

ბერლინი, 25 თებერ. «ლოკალ-ანცაიგერის« სიტყვით, რუსის ჯარმა უკან დახევა დაიწყო 21 თებერვალს საღამოთი. მუკდენს ნოგიმ მიაღწია გუშინ დილით, მაგრამ არ დაუჭერია კი, არამედ ჩრდილოეთისაკენ გასწია. რუსის ჯარს უკან დაახევინა იაპონელ ჯარის ცენტრმა.

ტოკიო, 25 თებ. (რეიტერი). ოიამა იტყობინება, რომ იაპონელებს დღეს დილით მუკდენი დაუჭერიათ. ახლო-მახლო გაცხარებული ბრძოლაა. ფუშუნიც დაჭერილია. ჩრდილოეთით კიდევ იბრძვიან.

ნაგასაკი, 25 თებ. ბრიტანელი გემი „მეფე არტური“, რომელიც პორტ-არტურიდან გამოსვლის დროს იაპონელებს ჩაუვარდათ ხელში, ცნობილ იქმნა კანონიერ დავლად, თუმცა ამასთან გამოაცხადეს, რომ ნიუ-ჯუანში გასაგზავნი საქონლის დაჭერა უკანონოაო.

კრონშტადტი, 25 თებ. წავიდა ვლადივოსტოკში პირველი ეშელონი საციხოვნო არტილერიის ბატალიონებისა.

ბერლინი, 25 თებ. „ბერლინერ ტაგებლატს“ ტოკიოდან 24 თებერვლის თარიღით დეპეშით აცნობებენ, რომ ხუთივე ლაშქარი იაპონელებისა მოქმედებენ იმ გეგმის თანახმად, რომელიც შეიმუშავა უმთავრესის შტაბის უფროსმა კოდამამ. ყველაზე დიდი სისხლის ღვრა ყოფილა მარჯვენა ფრთეზე, სადაც, როგორც სჩანს, ჯარს თვითონ კუროპატკინი უფროსობდა და საცა რუსის საუკეთესო ჯარიც ყოფილა ერთად მოგროვილი. დიდხანს უმაგრდებოდნენ ისინი იაპონელების იერიშს, მაგრამ ოთხშაბათს, როცა ნოგიმ სისრულეში მოიყვანა თავისი იერიშის რთული გეგმა, რუსებმა უკან დახევა დაიწყეს. „ბერლინერ ლოკალ ანცაიგერის“ კორესპონდენტი რენენკამფის რაზმიდან იტყობინება: „რვა დღე და ღამე იბრძოდნენ რუსები მაციანტაისთან და ფუშანის გზას იცავდნენ. რუსები შეუდრეკლად იტანენ შრაპნელის საშინელ ცეცხლს. რუსების დამარცხების მიზეზი ჯარის წესრიგის მოძველებულ სისტემაშია.

პარიზი, 25 თებ. ნოდო დეპეშით იუწყება, რომ 23 თებერვლის საღამოს მუკდენიდან რუსებმა სიმაგრეების მეორე რიგისაკენ დაიხიესო, იაპონელთა ყუმბარები რკინის გზიდან 1500 მეტრის სიშორეზე ვარდებიან. გაცხარებული ბრძოლაა. რუსების მდგომარეობის გამოკეთების იმედი კიდევ არ დაკარგულა.

ჩიფუ, 25 თებ. გუშინ დალნიდან იაპონელ გემს 1000 პორტ-არტურელი მოჰყავ, მათ შორის 600 ჯარის კაცია. იმათგან 100 კაცი დასახიჩრებულია. ხვალ გემით „მინხენით“ შანჰაიში მიდიან.

26 თებერვალი.

ტოკიო, 25 თებ. დღეს დილის ათ საათზე იაპონელებმა მუკდენი აიღეს.

ტოკიო. რუსების უკან დახევა დაიწყო 21 თებერვალს საღამოს. 24 თებერვალს გენ. ნოგიმ დაათვალიერა მუკდენი, მაგრამ რადგანაც მისს აღებას საიმისო სერიოზულ მნიშვნელობას არ აძლევდა, მაშინვე წავიდა მუკდენიდან და გაემართა ჩრდილოეთისაკენ. რუსების უკან დაწევა ფრთეებზე მომქმედ ლაშქართა მედგარს შეტევას კი არ გამოუწვევია, როგორც წინად იუწყებოდნენ, არამედ დასავლეთის რაზმისა და შუბლის ჯარის იერიშებმა და შეტევამ გამოიწვია. არ შეიძლება აგრეთვე ითქვას, რომ კუროპატკინი ალყა-შემორტყმული იყო, მაგრამ ყოველ შემთხვევაში მისი მდგომარეობა მეტად სამძიმო იყო. კუროკის ჯარებმა გუშინ აიღეს ტიტუ, მუკდენის სამხრეთ-აღმოსავლეთად მდებარე. იაპონელებს გაფთრებულად მიაქვთ რუსებზე იერიში. იაპონელთა ხუთივე ლაშქარი იბრძვის. სამხედრო მოქმედებანი სწორედ იმ გეგმის მიხედვით სწარმოებს, როგორც უმთავრესს შტაბის უფროსმა გენერალმა კოდამამ დიდი ხანია შეიმუშავა. იაპონელები ამნაირად მოქმედობდნენ: ახლად შემდგარი მარჯვენა ფრთეის ლაშქარი, რომელშიაც 4 დივიზია იყო, შეებრძოლა რუსთა მარცხენა ფრთეის ლაშქარს. კუროკის ლაშქარმა, რომელსაც გენ. ხასეგავას ჯარებიც მიემატა კორეიდან, შეუტია რუსის ჯარების აღმოსავლეთ ნაწილსა და შუბლის ჯარს შახეზე. ნოგის ლაშქარმა შეუტია რუსთა მარჯვენა ფრთას. ორთავე ფრთეზე ისეთი საშინელი ბრძოლა იყო, რომ სისხლის ტბა დადგა. იაპონელთა ზარალი 35,000 კაცამდე იქნება.

ლონდონი. იაპონიის აქაურმა საელჩომ გამოაქვეყნა ტოკიოდან მიღებული შემდეგი დეპეშა: „ოდესაც რუსებს ტიტუსთან გამაგრებული პოზიცები ეჭირათ, რამდენისამე დღის განმავლობაში მედგარ წინააღმდეგობას უწევდნენ იაპონელებს, მაგრამ ბოლოს იძულებულნი გახდნენ და 24 თებერვალს უკან დაიწიეს, ხოლო ახლა კი იაპონელთა რაზმი სდევნის. იაპონელთა მეორე რაზმი მაძიუტუნის გზით იწევს ფუშუნს და განუწყვეტლივ შახისკენ უკან ახევინებს. მუკდენის სამხრეთით და აღმოსავლეთით რუსებს ძლიერი პოზიციები უჭირავთ, ხუნხეს მარცხენა ნაპირზე, და მედგრადაც ებრძვიან იაპონელებს. ეხლა იაპონელებს იერიში მიაქვთ რუსებზე მუკდენის ჩრდილოეთ-დასავლეთით, რუსები თავგანწირულ წინააღმდეგობას უწევენ. 24 თებერვალს, გაფთრებულ იერიშის დროს, ამოვარდა საშინელი ქარიშხალი და ისეთი მტვერი ავარდა, რომ შეუძლებელი იყო რამის გარჩევა“.

(ღამის დეპეშა იხ. მეოთხე გვერდზე).

ჟურნალ-გაზეთებიდან.

ომის ამბები. 25 თებერვალს, დილის 10 საათზე, იაპონელებმა მუკდენი აიღეს. გენერალი ნოგი წინადღითვე შევიდა მუკდენში, მაგრამ რადგან ამაზე დიდი საქმე ჰქონდა, მუკდენს თავი გაანება, რკინის გზა დაანგრია და ჩრდილოეთისკენ გაემართა. იაპონელებს ჩდილოეთისკენ კიდევ დიდი საქმე აქვთ. მუკდენის ჯარი, უეჭველად ჩრდილოეთისკენ დაიხევდა და იაპონელებსაც უნდათ ამ ჯარს გზა მოუჭრან და უკანვე დაახევინონ.

გენერალი კუროპატკინი იუწყება, 24 თებერვალს იაპონელებმა ტასინტუნი აიღესო. ტასინტუნი მდებარეობს მუკდენის ჩრდილოეთ დასავლეთით 20 ვერსის მანძილზე. ის რაზმი, რომელმაც ეს სოფელი დაიჭირა, უეჭველია, დაფანშენიდან (სადგურია სინმინტინსა და მუკდენს შუა) წავიდოდა. ტასინტუნიდან რკინის გზამდე (სადგურ სიაოდიატუნამდე) მხოლოდ 10 ვერსია. თუ იაპონელებმა მოახერხეს და რკინის გზა აქაც გადასჭრეს, რუსების ყოფნა უიმედო იქნება. მაგრამ არც ახლაა იმათი საქმე კარგად: გენერალმა კუროკიმ 23 თებერვალს მაძიატუნი აიღო, აქედან სწრაფად ფუშუნისაკენ გაემართა, ერთ დღე და ღამეში 35 ვერსი გაიარა და ფუშუნი ბრძოლით აიღო. კუროკის არც აქ შეუსვენია, დასავლეთისკენ გადაუხვევია, მუკდენისაკენ წასულა ღ როგორც გენ. კუროპატკინი იუწყება, 24 თებერვალს დილით დიდის ბრძოლის შემდეგ აუღია სოფელი კიუზანი, რომელიც მუკდენსა და ფუშუნს შუა მდებარეობს (მუკდენიდან 20 ვერსის მანძილზე, ფუშუნიდან 15 ვერ.) დღე-ნახევარში კუროკის მთის გზებით 50 ვერსი გაუვლია. ეხლა კუროკი მუკდენისკენ იწევს, ლინევიჩის ჯარს ხუნხესაკენ აწვება, ცდილობს როგორმე დასავლეთიდან მომავალს გენ. ნოგის ჯარს მუკდენში შეუერთდეს, მანდარინის გზა გადასჭრას და რუსები რკალში მოაქციოს.

იაპონელების ცენტრი (მარშალ ნოძუსი და ოკუს ჯარის ნაწილი) რუსებს სამხრეთიდან აწვება და ცდილობს რუსები მდინარე ხუნხეზე მიჰყლიტოს. ხაიგანის მხარეს რუსები კარგა ხანს მაგრდებოდნენ, მაგრამ 24 თებერვალს ღამის 2 საათზე იაპონელებმა ეს პოზიციები აიღეს და რუსები ჩრდილოეთისკენ განდევნეს.

იაპონელებს ამ ბრძოლის დროს რუსებისათვის მრავალი ზარბაზანი წაურთმევიათ.

საზოგადოდ რუსეთის ჯარი დიდ საფრთხეში ჩავარდა. ამ ჯარის უმეტესი ნაწილი ხუნხეს მარჯვენა ნაპირზეა და ცდილობს ნოძუს გაღმა გასვლა დაუმალოს. რუსეთის ჯარი ხუნხეს ნაპირებს გარდა მუკდენსა და კიუძინის (მუკდენის აღმოსავლეთით) შუა იბრძვის და სწორედ ამ ჯარზეა დამოკიდებული კუროპატკინის ბედი: თუ ამ ჯარმა მოახერხა და აღმოსავლეთიდა და დასავლეთიდან წამოსულნი ოკუ და კუროკი შეაჩერა, გზას გაიკაფავს და შეიძლება თავს უშველოს. ტოკიოდან იუწყებიან, მუკდენის აღმოსავლეთით და ხუნხეს ნაპირებზე საშინელი სისხლის ღვრააო.

პარიზიდან დეპეშით იუწყებიან: იმედი ჯერ სულ არ დაკარგულა და შეიძლება კუროპატკინმა როგორმე თავს უშველოსო.

ტოკიოდანაც იუწყებიან, მართალია, კუროპატკინს კიდევ შეუძლიან როგორმე თავს უშველოს, მაგრამ იმის მდგომარეობა მაინც ცუდიაო.

„ბერლინერ ტაგებლატ“-ს ტოკიოდან ატყობინებენ: ეხლანდელ ბრძოლის გეგმა მთავარ შტაბის უფროსს, გენერალ კოდამას დიდი ხანია შედგენილი ჰქონდაო. იაპონელებს უმთავრესი იერიში მუკდენის დასავლეთიდან (სინმინტინიდან) უნდა მიეტანათ და ეგრეც მოხდა. ამ ჯარის წინააღმდეგ კუროპატკინმა თავის საუკეთესო ჯარი გამოგზავნა და უფროსადაც თვითონ იყოო. რუსები კარგა ხანს მაგრად იდგნენ, იაპონელების მედგარ იერიშებს ყოჩაღად უხვდებოდნენ, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ველარ გაუძლეს და უკან დაიხიესო. (რ. ვ.)

„რუს. სლ.“-ის კორესპონდენტი ლოდიჟენსკი მუკდენიდან დეპეშით იუწყება: იაპონელებმა დასავლეთიდან ისე მოგვიარეს, რომ ვერაფერი გავიგეთ. იაპონელების ამგვარი სიმამაცე და გამბედაობა ჩვენთვის მოულოდნელი ამბავი იყოო.

იგივე კორესპონდენტი იუწყება: 17 თებერვალს საღამოს რენენკამფის რაზმში წითელი ჯვრის წარმომადგენელი შირკოვი ავადმყოფებს უვლიდა, მაგრამ უცებ სადღაც გაქრა და ეხლაც არსადა სჩანსო.

„ნოვოე ვრემია“-ს კორესპონდენტი ტაბურნო მუკდენიდან იუწყება: მუკდენის დასავლეთით საშინელი სისხლის ღვრაა. ზარალი დიდია. ჩვენ მრავალი სურსათის საწყობი დავწვით. (ნ. ვ.).

იმავე გაზეთის სამხედრო მიმომხილველი ერონსკი მუკდენის ბრძოლის შესახებ სწერს: იაპონელების გამარჯვებას ეხლა კი ბოლო მოეღება და ომის ბედი ჩვენ გაგვიღიმებსო. დღევანდელ დეპეშიდან სჩანს, თუ როგორ გაუღიმა ბედმა კუროპატკინს (ნ. ვ).

იაპონელები მუკდენის კარებ წინ. „რუსკია ვედ.“-ის სამხედრო მიმომხილველი ს. კ. სწერს: ნამდვილმა ჩვენს მოლოდინს გადააჭარბა და ხუნხეს ნაპირებზე ისეთი სისხლის ღვრა დაიწყო, რომლის მზგავსი მთელს მსოფლიო ისტორიაში არ მოიძებნება. 14 თებერვალს არავის არ ეგონა, რომ მუკდენის დასავლეთით ამისთანა ამბები მოხდებოდა. იაპონელთა პატარა რაზმმა (400 კაცმა) სინმინტინისკენ გამოილაშქრა და მალე ისევ უკან დაბრუნდა. მაგრამ ორი დღის შემდეგ ლიაოხეს აღმოსავლეთით ნაპირზე იაპონელთა $1^1/_2$ დივიზიამ წამოჰყო თავი. ეს რაზმი სინმინტინისკენ კი არა, პირდაპირ მუკდენისკენ წამოვიდა და 17 თებერვალს მუკდენს 18 ვერსზე მიუახლოვდა. ეს რაზმი მხოლოდ მოწინავე ჯარი იყო იმ ლაშქრისა, რომელიც მარშალმა ოიამამ რუსების მოსავლელად გამოგზავნა. 16 თებერვალს სინმინტინიდან მუკდენისაკენ იაპონელების მეორე რაზმი—20,000 კაცი დაიძრა. ამავე დღეს გამოირკვა, რომ ის ჯარი, რომელიც რუსებს უვლის, 80,000 კაცისგან შესდგება, ესე იგი 6 დივიზიისაგან. იაპონელებმა მუკდენის დასავლეთით $2^1/_2$ დივიზია დასტოვეს და დანარჩენი ჯარი ჩრდილოეთისაკენ გაგზავნეს. დეპეშებიდან სჩანს, რომ ამ ჯარის რიცხვი 18 თებერვალს 110,000 კაცამდე ავიდა. რუსეთის ჯარი საფრთხეში ჩავარდა. ეხლა კუროპატკინს ორი გზა აქვს: ან ამ ჯარს უკან[illegible] უნდა დახევინოს, ანაც საჩქაროდ შახედან დაიძრას და ტელინისაკენ წამოვიდეს. [illegible] იმაშია, რომ უკან დაწევის დროს კუროპატკინი უეჭველად დაჰკარგავს [illegible] სურსათსა და ზარალიც დიდი მოუვა. უკან დახევით კუროპატკინი ტყუილ-უბრალოდ დაჰკარგავს იმ შრომას, რომელიც შახეს გამაგრებას მოანდომა (5 თვის განმავლობაში), საშინლად დამარცხდება და იქნება ამ წლის ომიც მთლად წააგოს.

მარშალ ოიამას გეგმა ამტკიცებს, რომ იაპონელებს მტკიცედ სწამთ თავიანთი გამარჯვება და ხმალიც უჭრით. მარშალს ოკუს უნდა ჰყავდეს დაახლოვებით 130,000 კაცი და ჰქონდეს 336 ზარბაზანი. კუროკის—160,000 კაცი, ნოძუს 155000, კავამურას (რუსებს სინმინტინიდან რომ მოუვარა)—80,000 კაცი, სულ—525,000 კაცი და 1,500 ზარბაზანი. აქედან ბრძოლაში თითქმის ნახევარი მილიონი კაცი იღებს მონაწილეობას. დეპეშებიდან სჩანს, რომ ნოგის ჯარი მსუბუქად იყო ჩაცმული და ერთ დღეში 50 ვერსი გაიარაო. (რ. ვ.)

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან *).

სულთან კრიმ-გირეიმ მოიარა გურიაში შემოქმედი, ბახვი, ხიდისთავი და ასკანა. ხალხი გულახდილად ეუბნება თავის გაჭირვებას. სავსებით გამოირკვა საქმის მდგომარეობა. ხალხი მშვიდადაა, რადგან დარწმუნებულია თავის სიმართლეში. არ არსებობს სეპარატიზმი; ხალხი აცხადებს თავის სოლიდარობას რუსეთის განმათავისუფლებელ მოძრაობასთან, სჩივის მიწის სიმცირეს, გადასახადთა აუტანლობას, მიწათმფლობელთა და მიწათ-მომქმედთა შორის ურთიერთობის მოუწყობლობას, მებატონეებისა და პოლიციის თვითნებობას; თხოულობს დროებით ვალდებულ გლეხთათვის ნადელების უსასყიდლოდ მიცემას, სახაზინო გლეხების გამოცხადებას მესაკუთრეებად მათისავე მიწებისა, წოდებრივ უპირატესობის მოსპობას, სავალდებულო საერო განათლებას და ფართო ადგილობრივ თვითმართველობას. კრიმ-გირეი შუამდგომლობს მთავრობასთან, რომ ადმინისტრაციისაგან დანიშნული მამასახლისები გადააყენონ და ხალხს თავისუფალ არჩევნის უფლება მისცენ, ეხლა დაკეტილი ბიბლიოთეკები, რიცხვით 12, გააღონ და 1902 წლიდან ადმინისტრატიულის წესით გადასახლებულნი გაანთავისუფლონ და უკან დააბრუნონ.

ახალი ამბავი

◆ კავკასიის საგზაო ოლქის ყარსის განყოფილების უფროსის კანცელარიიდან **მოუპარავთ ორი ყუთი**, რომელშიაც 37 **ბერდანის თოფი** ყოფილა, და **სამი ყუთი ბერდანის თოფის პატრონებით სავსე**. („ყარსი“).

◆ ქალაქში ხმა გავრცელდა, ამ დღეებში ტფილისიდან **ჭიათურაში ჯარი** იგზავნებაო.

◆ მეჯვრისხევში **გლეხთა შორის დიდი მითქმა-მოთქმაა თურმე**. 23 თებერვალს გლეხები შემოჰხვევიან სკოლას და ჩაუმტვრევიათ ფან-

---

*) ამ დეპეშის შინაარსი უფრო ვრცლადაა მოთხრობილი ჩვენი მეორე კორესპონდენტის წერილში, რომლის ნაწილი გუშინ დავბეჭდეთ და დღეს გაგრძელებას ვბეჭდავთ (იხ. „გურიის ამბები“). რედ.

ფელეტონი

ლ ო მ ი

ლომს თუნდ ჭანგები დააძრო,
ის გულით მაინც ლომია,
მისი უკვდავი სურვილი
მტერთან ბრძოლა და ომია!

—

თუნდ შეჰკრათ რკინის გალია,
შიგ გყავდესთ გამომწყვდეული,—
იქაც თავს ლომად იგულებს,
თავისუფლებას ჩვეული.

—

თუმცა მინახავს ამ დღეში,
რომ დამბმელს ელამუნება,
მაგრამ ამ დროსაც სულ სხვას გრძნობს
მისი ზვიადი ბუნება.

—

გრძნობს, რომ ოდესმე ყოფილა
ნადირთა მეფე სვიანი,
თვით მეომარი უბადლო,
თავზარ-დამცემი, ხმიანი!,

—

და დღეს ღალატით დაბმულმა
სურს შეიკრიბოს ძალია,
მარჯვე დრო ნახოს და მაშინ
დალეწოს რკინის გალია,

—

აიშვას დატყვევებულმა,
ისა ქნას, რისაც მდომია,
და აგრძნობინოს თვისს დამბმელს,
რომ ლომი მუდამ ლომია!..

—

ბრძოლაში შექმნილ-შობილა,
აღზრდილა მუდმივ ბრძოლითა
და მისი შეცვლა ვის ძალუძს
ტყვედ გალიაში ყოლითა?!.

—ი.

რუსეთის ჰავის გავლენა ქართველ ჯარის კაცებზე.

არა მგონია, მკითხველო, ქართული გაზეთის ფურცლებზე დღემდის შეხვედროდე ქუთაისის სამკურნალო საზოგადოების შესახებ რასმე, და ან ვინ მოგითხრობდა, როცა ეს „საზოგადოება“ დღემდის კარჩაკეტილ ცხოვრებას ეწეოდა და მისი არსებობის შესახებ მხოლოდ მისმა წევრებმა თუ რამ იციან, ან კიდევ სხვა ქალაქების მსგავსმა დაწესებულებებმა, რომლებიც «отношеніе»-ებით შეეკითხებიან ხოლმე ერთი-მეორეს, ამა და ამ საქმეში (მაგ., მთელი რუსეთის ან კავკასიის ექიმთა თავყრილობებში) მონაწილეობას ხომ არ მიიღებთ, ან კიდევ ამა თუ იმ სპეციალურ საკითხების გამორკვევაში არ დაგვეხმარებით ადგილობრივ მასალების მოწოდებითო და სხ.

მაგრამ, ჩვენდა სასიამოვნოდ, დღეს ქუთათურ ექიმთა კარ-ჩაკეტილობას ბოლო ეღება; დღეს მათ დაწესებულებას ახალი ხანა უდგება და, უეჭველია, იგი დროის შესაფერად შეხვდება მას. ამის ნიშნებს იძლევა ამ „საზოგადოების“ ბოლონდელი კრებები, რომლებიც საინტერესო იყო, როგორც თვისი შინაარსით, ისე მომავალი საზოგადო მიმართულების დასაწყისით.

ექიმ სერგენკოს თავმჯდომარეობით უკანასკნელ კრებაზე სხვა საკითხთა შორის დანიშნული იყო ახალგაზდა სამხედრო ექიმის გრიგოლ ქორქაშვილის მოხსენება: „კავკასიის გარედ წაყვანა ჯარის კაცებისა ქუთაისის გუბერნიიდან“. საკითხი ფრიად საინტერესოა როგორც ყოველი ქართველისათვის, ისე ყოველ შეგნებულ უცხოელისათვისაც. ამ საკითხს პატარა ჩვენებური ისტორიაც თან ახლავს და აი რას გვეუბნება იგი.

კა[illegible]ია შეურიგდით იმ ფაქტს, რომ 1886 წლიდან საერთო სამხედრო ბეგარა შემოიღეს ჩვენში. ამ ამბავმა აქა-იქ მხოლოდ მითქმა-მოთქმით ჩაიარა მაშინ. ჩვენი ჯარის კაცები, გულის დასაშოშმინებლად, ჯერ შინაობაში ამზადეს და აქვე შეაჩვიეს ახალი უღლის ტარებას. მაგრამ ეს წესი მალე შეიცვალა: თავის სამშობლოში მომზადება ჯარის კაცისა ლაშქრობისათვის არ შეეფერება ეხლანდელ პოლიტიკასაო და 1898 წ. უმაღლესი ბრძანებით ცივ ქვეყნებში სავარჯიშოდ გაიწვიეს საზოგადოდ ნაზ ბუნებაში აღზრდილი კავკასიელები. ეს ამბავი, ჩვენ გულში ჩაკლულ უკმაყოფილებით ავიტანეთ და აქა-იქ სალონებსა, კაბინეტებსა და იშვიათად საზოგადო კრებებზე ხმაჩაკმენდილ კილოთი ლაპარაკით ჩავატარეთ. სხვა ერებივით ხმამაღლა, გაბედულ მოთხოვნილების საგნად ვერც ეს საკითხი გაიხადა ჩვენმა საზოგადოებამ.

და აი ჩვენგან ასე უყურადღებოდ დატოვებული და მივიწყებული საკითხი დღეს უცხოელის გულსა და გონებაში პოულობს ალაგს და აღებინებს ხელში კალამს სიმართლის მეცნიერულად დასასაბუთებლად. მერე ვინ არის, შემეკითხებით, ეს უცხოელი ადამიანი? არც შენი და არც ჩემი ნაცნობ-მეგობარი, მკითხველო. და მაშ ცხადია, არც ერთს ჩვენგანს მისთვის არ უკარნახებია, ჩვენდა სასარგებლოდ სიტყვა თქვიო.

ეს გახლავთ სამხედრო ექიმი, გვარად მურზინი. დღემდი მას, შეიძლება, გარდა ექიმ-სპეციალისტებისა, არც თუ ვინმე იცნობდა; დღეს-კი იგი ქართულ გაზეთის მკითხველმაც უნდა გაიცნოს, რადგან მას დაუწერია ისეთი გამოკვლევა, რომელიც ჩვენთვის ფრიად საყურადღებო საგანს შეეხება. გამოკვლევის სათაურია: „Итоги комплектованія уроженцевъ Кут. Губ. войскъ, внѣ Кавказа расположенныхъ, по дланнымъ 2-хъ войск. частей“ და „Военно-медиц. жур“.-ში არის დასტამბული.

ექიმმა ქორქაშვილმა მურზინის მასალებსა და დაკვირვებას თვისი გამოკვლევა დაუმატა ადგილობრივ ჯარის კაცთა ცხოვრებიდან და კიდევ უფრო დაადასტურა უცხოელ ექიმის მურზინის აზრი. ჩვენს მკითხველს ჯერ პირველის აზრსა და დასკვნებს გავაცნობ, ხოლო შემდეგ მეორის დადასტურებას.

ორ პოლკში ლიუბლინისა (ოდესაშია) სიმფეროპოლისა (ეკატირინოსლავში), რომლებშიაც ექიმ მურზინს ჰქონია საქმე და რომლების ცნობებითაც ის სარგებლობს, იყო 1180 კაცი; ამათში 117 ქართველი იყო ქუთაისის გუბერნიიდან, სხვა დანარჩენი 1063 კაცი—შიდა რუსეთიდან. ამათგან სამსახურის დროს 647 კაცი გამხდარა ავად რუსი, ხოლო 98 ქართველი, ანუ 60,8% რუსი, ხოლო 83,7% ქართველი. ავადმყოფობის გამო გამოსტუმრებულთა რიცხვი იქაურებისა უდრის 113 კაცს, ანუ 10,5%-ს, ხოლო აქაურებისა 45 კაცს, ანუ 38,5%-ს, რაც $3^1/_2$-ჯერ აღემატება იქაურებისას.

უცხოელ მკვლევარის მურზინის აზრით, ქართველ ჯარის კაცთა სნეულებაში პირველი ადგილი უჭირავს სასუნთქავ ორგანოების ავადმყოფობას. 35,5% ქართველ სალდათების სნეულებათა სასუნთქავი ორგანოების ავადმყოფობაა, რომლის შემდეგ გავრცელებულია პლევრიტით ავადმყოფობა—15%, ფილტვების მწვავე კატარი—8,2%, სასუნთქავ შტოების ქრონიკული კატარი—5,5%, ჭლექი—3,6% და ფილტვების ანთება 2,4%. 10 ქართველ სალდათში, განაგრძობს მურზინი, 4 მოკვდა ჭლექით (40%), 3 მოკვდა პლევრიტით (30%), 2—პერიტინით (20%) და ერთი ფილტვების ანთებით (10%) და ყველა ათივე ფილტვების ავადმყოფობის მსხვერპლი შეიქმნა. ამრიგად ქუთაისის გუბერნიიდან გაყვანილ სალდათებიდან რუსეთში იხოცება 8,5%, ხოლო გარდაცვლილ რუს ჯარის კაცთა რაოდენობა არ აღემატება 1,2%-ს. იქაური ჯარის კაცი მომეტებულად შემთხვევითი ავადმყოფობით იხოცებიან, ქართველები-კი, თბილ ბუნებას შეჩვეულნი, ვერ ეგუებიან რუსეთის მძაფრ ბუნებას, რაც განსაკუთრებით სასუნთქავ ორგანოების და ფილტვების ავადმყოფობას უჩენს ჩვენებს და უმეტეს შემთხვევაში, თუ არ ასალმებს სიცოცხლეს, სამუდამოდ ამახინჯებს მათს ორგანიზმს.

ამას ღაღადებენ ექიმ მურზინის გამოკვლევის სტატისტიკური ციფრები და აქედან არა ნაკლებ საგულისხმოა მისი ლოგიკური დასკვნებიც. აქ მურზინი გადაჭრით გვეუბნება, რომ ერთად ერთი მიზეზი ქართველ ჯარის-კაცების უაზრო ხოცვისა რუსეთისა და საქართველოს ბუნების მკაცრი განსხვავება არისო. ამის გამო „საკმარისია, გვიხსნის დაკვირვებული ექიმი, რომ რუსეთში მყოფ ქართველ სალდათს უბრალო ავადმყოფობა შეხვდეს, რომ მისი სხეული ჭლექის ბუდედ გადიქცესო». მაშასადამე, განაგრძობს იგი, «ჭლექიანი ქართველი რუსეთში იბადებაო» და თუ,—დავუმატებ ჩემის მხრით,—დღემდი ჩვენს საზოგადოებაში ჭლექიან სტუდენტობაზე ლაპარაკობდნენ და მათი დახმარებისათვის, განურჩევლად სიავ-კარგისა, ზრუნავდნენ, დღეს მაინც დროა «ჭლექიან სალდათებზედაც» ვიზრუნოთ და უცხოეთში ამ უმწეო და თითქმის უენო ადამიანთ გამოესარჩლოთ. მურზინს გარდა, პროფესორი ა. დობროსლავინიც თავის „Курсъ военной гигіены“-ში რუსის მხედრობის წარმომადგენელთ გაბედულად ეუბნება: „ჩრდილოელ ჯარის-კაცთა გაგზავნა სამხრეთისკენ ცუდად არ მოქმედობს გაგზავნილებზე, მაგრამ სამხრეთიდან წამოყვანილები ჩრდილოეთის ჰავას ვერ იტანენ და ამიტომ ამ გარემოებას დიდი ყურადღება უნდა მიექცესო“. თავის აზრის დასასაბუთებლად იგი უმატებს, რომ „როცა პსკოვის და ნოვგოროდის საკატორღო საპყრობილეებში რაღაც მოსაზრებით მომეტებულად კავკასიელებს გზავნიდნენ, იქ იმათი აუარებელი რიცხვი იხოცებოდაო“. ამას ამბობენ უცხონი. სამწუხარო ისაა, რომ თვითონ ჩვენ ხმას არ ვიღებთ ამ სატკივარზე.

ამას და ამგვარ დასკვნებს სახელმძღვანელოებშიაც-კი ქადაგობენ რუსების მეცნიერები და ჩვენში-კი, ექიმ ქორქაშვილის ამ თემაზე მოხსენებამ ქუთაისის სამკურნალო საზოგადოებაში თავმჯდომარის სერგენკოს დიდი პროტესტი და „საზოგადოებისთვის“ თავის განებება გამოიწვია. მან მიაწერა ავტორს „პოლიტიკურის მიზნით“ მოხსენების წაკითხვა „საზოგადოებაში“, მაგრამ, მიუხედავად ამ „ჩინოვნიკ“ თავმჯდომარის უსაფუძვლო გაჯავრებისა, შემდეგ კრებებზე ექიმებმა მაინც დაადგინეს: შესწორებული გადიბეჭდოს ექიმ ქორქაშვილის მოხსენება, გაეგზავნოს მისი პირი ქალაქის საბჭოს და თავად-აზნაურთა მომავალ კრებას, რათა ისინიც შეუერთდნენ აქ გამოთქმულ აზრს და მერე წარუდგინონ უმაღლეს მთავრობას **შუამდგომლობა კავკასიელ ჯარის-კაცების სამხედრო სამსახურისთვის აქვე დატოვების შესახებ**.

აი, როგორ ადასტურებენ რუსის ექიმ მურზინის გამოკვლევას ქართველი ექიმის ქორქაშვილის ოთხი წლის ციფრები ადგილობრივ ჯარის-კაცთა ცხოვრებიდან. მოვიყვან აქ სიცხადისთვის ქორქაშვილის მოხსენებიდან პირველ ცხრილს, რომელიც ავადმყოფობის, უვარგისობისა და სიკვდილის რაოდენობის მაჩვენებელია რუსეთისა და კავკასიის ჯარის-კაცებში.

რუსეთში 117 კაცი

	ავად გახდა	უვარგ. იცნეს	მოკვდა
სამსახ. I წ.	—109 კაცი	29 კაცი	7 კაცი
	93,1%	24,8%	5.9%
„ II „	—41 კაცი	15 კაცი	2 კაცი
	50,6%	18,4%	2,5%
„ III „	—27 კაცი	1 კაცი	—
	23,3%	1,5%	—
„ IV „	—15 კაცი		1 კაცი
	23,3%	„	1.6%

…ები, ასევე მოქცეულან სასოფლო ქსენონში-…ა, სადაც ჩაუმტვრევიათ აფთიაქის ფანჯრები. …შეუვა გლეხები ბოქაულსა და მამასახლისთან …ულან და მოუთხოვნიათ მათთან სალაპარაკოდ …ოსულიყვნენ. (ცნ. ფ.).

✦ გუშინ, 26 ამ თვეს, ქალაქის სადგომში, …ქრულაშვილის **თავმჯდომარეობით შესდგა …კომისიის წევრთა** კრება, რომელსაც დაევა-…ული აქვს გამოიკვლიოს ქალაქის თვითმმარ-…ლობაში მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრების …ები და დაასახელოს ის საშუალებანი, რი-… შეიძლება ამ პირობების გაუმჯობესება.

✦ **ბათომის ქალაქის თვით-მმართველობას** …ეგი შინაარსის ქაღალდი მიუწერია რუსეთი-…და რუსის საზღვაოსნო მთავარ კანტორები-…ის ოდესაში: რადგანაც თქვენი საზოგადოე-…რავითარ ყურადღებას არ აქცევს საააგენტოებში …შავე მოხელეთა კანონიერ მოთხოვნას, რის …ც გემთა დატვირთვა-გადმოტვირთვა ჩვეუ-…რივ აღარ სწარმოებს და ქალაქის მკვიდრნი …ბლად შევიწროებულნი არიან სურსათის …ლობის გამო, გამგეობამ გარდასწყვიტა მიი-… თავის თავზე … ზედმეტი ხარჯი, რომელიც …თისა და რუსეთის საზოგადოებას მოუვა …ცვის განმავლობაში. ამ ქაღალდის შემდეგ …უსეთის საზ." მოხელეთ 30 % ჯამაგირის მო-…ტება აღუთქვეს.

✦ როგორც ფოთიდან გვატყობინებენ, რუ-…თისა **და რუსის საზღვაოსნო კანტორებში** მო-…ლენი **მუშაობას** უკვე შედგომიან. ყველა მათ-…ნისათვის ჯამაგირის 30 % მომატება აღუთქვამთ. …ვე საზოგადოების მუშებიც გუშინ შესდგომიან …მუშაობას. ამათაც მოუმატეს იჯარის ქირა და …ღიდან ხელფასად ყოველ ათასს ფუთზე თითო …მანი მიეცემათ.

✦ ქართლიდან გვატყობინებენ, რომ 23 თე-…რვალს სოფ. ფცაში **თ-დ ბაგრატიონ-დავითი-…შვილის ძველებური** დიდი **სასახლე** და პურით …ვსე ბეღელი **გადაიწვა.** თ-დ ბაგრატიონ-და-…ვითიშვილის მოურავის სიტყვით, სახლთან ერ-…თად დამწვარა 500 მან. ფული, რომელიც მას …ლით ქვეშ ჰქონია შენახული.

✦ ბაქოში მომხდარ სისხლის ღვრის ნამდვილ …მიზეზის გამოსაძიებლად **უმაღლეს მთავრო-…ბას,** როგორც „ბაქ. იზვ."-ა იუწყება, **ნება დაურ-…თავს დაარსდეს უმაღლესი გამომძიებელი კო-…მისია.** კომისიის თავმჯდომარედ დანიშნულია …სენატორი კუზმინსკი.

✦ გუბერნატორმა აცნობა ტფილის ქალაქის …მოურავს, რომ თავის მხრით არაფერ დაბრკოლე-…ბას არ ჰხედავს, რომ სასკოლო აღმასრულებელ …**კომისიის წევრად არჩეული** ან. ღულაძე თავის …თანამდებობაზე დამტკიცებულ იქმნას.

✦ თანახმად მიწად-მოქმედებისა და სახელმწი-…ფო ქონებათა მინისტრის რწმუნებულის ბრძანები-…სა, **კავკასიის მეურნეობის ინსპექტორი** ბ-ნი ვა-…**სილიევი გაემგზავრა** ქუთაისის გუბერნიაში იქა-…ურ სახელმწიფო სანერგეებისა და სამეურნეო …დაწესებულებათა დასათვალიერებლად.

✦ **საეტნოგრაფიო მუზეუმის დირექციას,** რო-…მელიც პეტერბურგში არსებობს, ხოლმწიფე ალე-…ქსანდრე III სახელობაზე, შეუკვეთნია კავკასიის …აბრეშუმო სადგურის გამგეობისთვის მოდელე-…ბი იმ საცხოვრებელი სახლებისა, რომელსაც აშე-…ნებენ კავკასიაში მოსახლე ხალხნი; მოდელების …გაკეთება უკისრნია ბ-ნ ჟდანოვს, რომელსაც რა-…მდენიმე ნიმუში უკვე გაუგზავნია ნამუშავარი.

✦ **განჯიდან** ჩვენ არტისტებს მოუვიდათ წერი-…ლი ერთი იქაურ ქართველისაგან, რომელიც სთხოვს დიდმარხვის მეორე კვირაში **ორი ქართული წარმოდგენა გამართონ.** ერთი პიესათაგანი უნდა იყოს ან მონტის დრამა „კაი გრაკხი", ან „ღალატი".

✦ **ტფილისში არსდება** დრამატიულისა და მუსიკალური ხელოვნების მოყვარულთა საზოგადოება; ამ საზოგადოების დამფუძნებელი მომეტებულ ნაწილად კავკასიის რკინის გზათა მმართველობის მოხელენი არიან, რომელთაც შემუშავებული წესდება ტფილისის გუბერნატორისათვის უკვე წარუდგენიათ.

✦ სენაკიდან გვატყობინებენ, რომ იქ 25 თებერვალს დილის შვიდ საათზე ბოროტგამზრახველთ ცეცხლი წაუკიდეს და დასწვეს ადგილობრივი სასოფლო კანცელიარია.

✦ ვინმე **გიორგი მჭედლიშვილი** ტფილისში ატარებს ქაღალდს და სხვადასხვა პირთ სთხოვს შემწეობას ქართულ მსახიობთა **დასის დასაარსებლად.** როგორც ნამდვილად გავიგეთ რამდენიმე პირისათვის ფული უკვე გამოურთმევია. კარგი იქნება, რომ **არავინ არაფერი** მისცეს ამ მჭედლიშვილს, რადგან მას არაფერი საერთო არა აქვს-რა დრამატიულ ხელოვნებასთან.

✦ 26 თებერვალს ქალაქის მცხოვრებ ივ. ტერ-ვართანოვს კახეთის ქუჩაზე ილიკო შიოშვილთან ჩხუბი მოსვლია. ტერ-ვართანოვს შიოშვილი დაუჭრია დანით მუცელში.

✦ გუშინ გოლოვინის პროსპექტზე, როდესაც მუშები ცხენის რკინის გზის ლიანდაგს აკეთებდნენ და ძელს დიდი ჭახრაკი ჰქონდა მოჭერილი, მოუახლოვდა ელექტრონის ტრამვაის ვაგონი № 4 და, რადგანაც ვატმანმა ვერ შეამჩნია, ჭახრაკს დაეტაკა. ვაგონი ნახევრად გადაბრუნდა. ხალხს არაფერი დაშავებია. ვაგონების მიმოსვლა რამდენსამე საათს შეჩერდა.

შეცდომის გასწორება.

გუშინდელ ნომერში ქართული წარმოდგენის ანგარიშში კორექტურული შეცდომა შეგვეპარა: დაბეჭდილი იყო: „კარგი იყო თვით მობენეფისეც იმ ადგილებში, სადაც არ **მოიმღერებდა**", უნდა იყოს „სადაც არ **მოიიმღერლებდა**".

ფურიის ამბები

(საკუთარის კორესპონდენტისაგან).

II

ცოტა ხნის მოლაპარაკების შემდეგ საზოგადოებამ აირჩია 12-ამდე წარმომადგენელი. იმათ მოახსენეს ბ-ნ სულთან კრიმ-გირეის პირველად სამუშაო მიწის სიმცირისა და ღალის სიდიდის შესახებ.

ჩვენ ისე შეგვავიწროვა მიწის სიმცირემ, რომ იძულებულნი ვართ ვიკისროთ ათას-გვარი უღვთო პირობები. სანადელო მიწების გამოსყიდვა ჩვენთვის ხელ-მიუწდომელი შეიქნა და, ვინც ვალითა და ვახშით შესყიდა იგი, უფრო მეტ უბედურებაში ჩავარდა. დიდ სარგებლით აღებული ფული ველარ გადაიხადა, ვალი ვალად დარჩა და მიწაც გამოეცალა ხელიდან. საჭიროა დროებითი ვალდებული გლეხი მიწიანად და მიწა სრულიად სამუდამოდ განთავისუფლდეს და დაგვიბრუნდეს ის ფული, რომელიც მიწის გამოსყიდვაში დაგვიხარჯავს, რადგანაც დღეს აღარც მიწაა ჩვენს ხელში და აღარც ფული. მებატონემ ერთხელ გაყიდული მიწა კვლავ წაგვართვა, ან სხვას გადასცა და ჩვენ კი სულ ცალიერზე დაგვსვა. საჭიროა აგრეთვე ჩამოერთვად მონასტრებს ის აუარებელი ადგილები, რომლებიც დღეს მუქთა-ხორა ბერებისა და მღვდლების სახრავად გამხდარა. მონასტრებს მიწები არ ესაჭიროება. იგი უეჭველად ჩვენ უნდა დაგვირიგდეს.

გარდა იმისა, რომ მამულები თავად-აზნაურთა ხელშია და მეტის-მეტ დიდ ღალას გვართმევენ, ჩვენ იძულებულნი ვართ ბბ. მოურავებსაც სამოურავო თითო მანეთი და მსუქან-მსუქანი ყვერულები მივართვათ ხოლმე! განა შეიძლება ამგვარ პირობებში სანადელო მიწების დამუშავება? პოლიცია კი ხმას გვაწყვეტინებს და მათრახის ცემით იძულებულსა გვხდის ჩვენთვის საზარალო პირობებით ვიმუშაოთ...

გზების კეთება ხომ ნამდვილი უბედურებაა. „ამა-და-ამ ადგილას გზა ან ხიდი უნდა გააკეთოთო", დაგვიძახებს ხოლმე პოლიცია და მიგვერეკება, იმ გზის გასაკეთებლად, რომელიც ჩვენთვის სრულიადაც არ არის საჭირო. იმ დროს, როდესაც ერთი დღე მუშა კაცისათვის ძვირფასია, პოლიცია საკუთარ საქმეს ხელიდან გვაგდებინებს და საავარაკო გზებზე გვგზავნის სამუშაოდ, რათა, რისთვის? იმიტომ რომ უმისოდაც გალაღებულმა მდიდრებმა წმინდა ჰაერითა და სურნელოვანი ბუნების სიმშვენიერით ცხოვრება ზედმეტად დაიტკბონ??..

ვითომ სამი დღით გავყავართ ბეგარაზე, მაგრამ, სანამ სახლიდან წაღებული საჭმელი არ გაგვითავდება, ან ამ მუშაობაზე საკუთარი თოხი და წერაქვი არ გაგვიტყდება და ან ავად არ გავხდებით, ჩვენ შინ დაბრუნებას არა ეშველება-რა ხოლმე. მშიერ-მწყურვალი, ნახევრად უძინარნი, წელში ვწყდებით და საკუთარ საქმეს ვაკლდებით. ღმერთი არ არის?!...

ნეტა დაჩივლება მაინც შეგვეძლოს!

გზებს მარტო ჩვენ, გლეხობა, ვაკეთებთ, როდესაც იგინი, საავარაკო გზების გარდა, ყველასათვის არის საჭირო და რატომ თავად-აზნაურობა და სამღვდელოება კი არ იღებს მონაწილეობას?.. ჩვენ წელში ვწყდებით და ისინი კი არხეინად დასეირნობენ ამ გზებზე.

ეკკლესია ხომ ყველას სამლოცველოა, მაგრამ საყარაულოდ მარტო ჩვენ—გლეხებს—გვნიშნავენ და სხვა წოდება კი თავისუფალია.

მთავრობის ყოველივე მოთხოვნილებას სოფლად მარტო ჩვენ ვაკმაყოფილებთ. კაცი, ცხენი, ხარი, ურემი თუ სხვა რამ სულ გლეხობისაა... და ჩვენივე მეზობელი, რომელიც ჩვენზე მეტად სარგებლობს გზით, ხიდით, ეკკლესიით, სკოლით და სასამართლოთი,—ჩვენი შრომით მუქთად სარგებლობს. განა ეს სამართლიანობაა? ამიტომ ჩვენ გვსურს მოისპოს ყოველივე პრივილეგიები და ყველა წოდება გათანასწორებულ ვიქნეთ უფლებებით.

ღვდელს ჩვენში სახელმწიფო ჯამაგირი აქვს, მაგრამ ჩვენ მაინც ყველაფერში ფული უნდა ვაძლიოთ. მონათვლა—ფული, მოკვდება ვინმე—ფული, ზიარება—ფული, ჯვარის წერა—ფული და კიდევ ორი მანეთი დრამის ფულიც ზედ-მეტია. ჩვენი მღვდლები იმდენად თავწასულები არიან რომ, მაგალითად, თუ ჯვარ-საწერად მის მიერ დანიშნულ დროზე არ მივიდნენ მექორწილენი,—ეკკლესიის კარებს დაჰკეტავენ ხოლმე და სახლში მიზბიან. ჰკეტენ იმ ეკკლესიის კარებს, რომელიც ჩვენის ოფლით აგვიგია და მერე, თუ ოცდა ხუთი მანათი არ მივართვით, აღარც კი გვიღებენ. ამიტომ ჩვენ გვინდა დრამის ფულის გაღება მოისპოს.

ჩვენ ვთხოულობთ აგრეთვე გაუქმდეს საბაჟო და სააქციზო გარდასახადი ცხოვრებისთვის უსაჭიროეს საგნებზე.

ჩვენ ვთხოულობთ სასოფლო გადასახადთა განაწილება გადამხდელ ხალხისაგან არჩეულ კაცებს მიენდოს. და ისედაც უნდა მოწესრიგდეს თვით ეს საქმე, რომ ვისიც შემოსავალი 500 მან. არ აღემატება, სრულიად თავისუფალი იყოს ყოველგვარ გადასახადისაგან; ხოლო იმას ზევით კი იწყებოდეს თანდათანობითი გარდასახადი, ე. ი. ვისაც მეტი შემოსავალი და შეძლება ექნება, მეტი გარდასახადიც დაურჩეს.

პოლიციის თვითნებობამ ჩვენში მოთმინების ძაფი გასწყვიტა. ეხლა გაჭირვებულებს არ შეგვიძლია ხმა ამოვიღოთ, უსამართლობაზე სამართალი მოვითხოვოთ, უკანონობაზე კანონი მოვიკითხოთ. ყოველთვის და ყველაფერზე წყრომა-რისხვის მეტი არა ემეტებათ-რა ჩვენთვის. „თქვენში ქურდები არიან, უნდა უყარაულოთ და დაიჭიროთო". ჩვენ დავიჭერთ, ისინი-კი ქრთამს იღებენ და ანთავისუფლებენ. „სოციალისტებს უყარაულეთ და, თუ თქვენში შამოიპაროს დაიჭირეთო". გაავრცელეს ჯაშუშები და თუ ვისმე ვისიმე მტრობა აქვს, საკმარისია ერთი სიტყვა—«ის სოციალისტობსო», რომ პოლიციამ დაიჭიროს და განუკითხავად სტანჯოს-აწვალოს. ამგვარი მაგალითები აუარებელია და ჩამოთვლაც შეუძლებელია. თავის გამართლების ნებას არ გვაძლევენ „ჩუმად უნდა იყოთ, მათრახს ქვეშ კანკალებდეთო".

უზომო ცემა, ტყვემ და უდიერობამ მოთმინება დაგვაკარგვინა ამგვარ მდგომარეობაში ცხოვრება მეტი აღარ შეგვიძლია: თუ ამოგვწყვეტენ, ამოგვწყვეტენ, თორემ ჩვენ მათ ველარ შევურიგდებით. ამისთვის ჩვენ გვინდა მოხელეების დანიშვნა ხალხს ეკითხებოდეს. ერთი თუ არ მოგვეწონება, გამოვცვლით და სხვას დავაყენებთ. დღეს კი ვერაფერს გავხდით. სასარგებლო საქმე ვითხოვეთ რამე, უარი გვითხრეს, ვიჩივლეთ პოლიციელზე—პასუხი არ გაგვცეს ყველგან და ყველაფერში ჩვენი ბატონ-პატრონი მაზრის უფროსი და გუბენატორი შეიქნა, რომლის მოქმედებას არავინ კანტროლს არ უკეთებს და ჩვენც იმათ სამათრახე მონებად გაუხდივართ.

აი, ყველა ის მიზეზები, რის გამოც ჩვენ გავსწყვიტეთ ყოველივე კავშირი პოლიციასთან და ეს იმდრომდე იქნება ასე, ვიდრე მთელი ხალხი არ იქნება მიწვეული, არ მიეცემა მას თანასწორი საყოველთაო არჩევნების უფლება. არჩევანები უნდა მოხდეს დაფარულ კენჭის ყრით. ჩვენ ვთხოულობთ ფართო ადგილობრივ თვითმართველობას, რომელმაც დამოუკიდებლად უნდა იმოქმედოს ადგილობრივ საჭიროებათა მიხედვით

არ შეგვიძლია ჩვენი საჭიროებისა გამო შევკრიბნეთ ერთად და მოვილაპარაკოთ,—პოლიცია ყოველთვის წინ გვეღობება, თუ სადმე შევსწრო ყრილობას ცემა-ტყეპით ციხეებში გვამწყვდევენ, ხოლო იქიდან შორს ქვეყნებში გვასახლებენ. ამიტომ ჩვენ ვთხოულობთ კრებისა, სიტყვისა და მწერლობის თავისუფლებას; ჩვენ ვთხოულობთ ადამინის პიროვნება და ბინა ხელუხლებელი იყოს.

გვინდა პასპორტების მოსპობა და მისვლა-მოსვლის თავისუფლება. დღეს, მაგალითად, არ გვაძლევენ პასპორტს, თუ სასოფლო და სახელმწიფო ფული გადახდილი არა გვაქვს. ფული არა მაქვს და პასპორტს არ იძლევიან, რომ წავიდე, ვიმუშაო, ფული ვიშოვო და მერე გადავიხადო. არა გვაქვს ნება ერთი ქალაქიდან მეორეში გადავიდეთ და მით ჩვენი ეკონომიური მდგომარეობა გავიუმჯობესოთ.

არ ვარგანან დღევანდელი მოსამართლეებიც, ადვილად შეიძლება მათი მოსყიდვა,—საკმარისია ლამაზი ქალის სიტყვა, რომ უსამართლობისკენ გადიხაროს მათი სასწორი, რადგანაც ძლიერ კარგად იცის, ხალხი რომ მას პასუხს ვერ აგებინებს და მისი უფროსები ხომ, რაც უნდა ჩაიდინონ, მისი ნამდვილი მფარველები არიან. ჩინოვნიკებისაგან შექმნილი მოსამართლეები, რომლებით ნახევარ საათში საქმესაც ეცნობიან და განაჩენსაც ადგენენ, არ შეიძლება სამართლიანი იყვნენ.

სალდათობაც ერთი უბედურებათაგანია. ახალგაზდა მუშა-კაცის მოშორება უიმისოდაც ღარიბ გლეხის ოჯახს უარესად ათახსირებს. მიჰყავთ შორს, უცხო მხარეებში, რომლის ჰაერის ატანა ბევრს არ შეუძლია და იხოცებიან. რად გვინდა სალდათი, რად გვინდა ომი, რად გვინდა მანჯურიში, როცა ნახევარი რუსეთი და მთელი ციმბირი დაუსახლებელი, ცალიერი ადგილებია. ნუ თუ იმისთვინ არის საჭირო, რომ თავისივე ძმები ახოცვინონ, როცა ეს ჩინოვნიკებისაგან შეზავებულ მთავრობას დასჭირდებათ? ნატანებში ჯარი თოფ-ზარბაზნებით მოგვაყენეს და ჩვენმავე ძმებმა უნდა ამოგვწყვიტონ, სახლ-კარი გაგვინადგურონ მხოლოთ იმიტომ, რომ მას უბრძანებს ადმინისტრაცია, ის ადმინისტრაცია, რომელიც თავის მათრახით ვერას გახდა, და ეხლა ძმას ძმაზე ანადირებს. არ გვინდა საყოველთაო ჯარი, დარჩეს მხოლოდ საყოველთაო შეიარაღება, როცა ამას მოითხოვს თვით ჩვენი ქვეყნის საჭიროება

ჩვენ გვინდა რომ იყოს უფასო და სავალდებულო სწავლა ორივე სქესისათვის 16-წლამდე. მთავრობამ კი კარგი მასწავლებლები გადაგვისახლა, სამკითხველოები დაგვიკეტა და, თუ დღეს ამას გეუბნებით, არა იმიტომ, რომ ვთხოულობდეთ თქვენგან, მოწყალებას არა,—თქვენი პირადი პატივის-ცემა გვათქმევინებს იმას, რაც ჩვენ გვწადიან და თქვენ კი მოცემა არ შეგიძლიათ.

აი მოკლედ ანუსხული ჩვენი გაჭირვებანი. ეს მოძრაობა ჩვენში არ არის მარტო, ასეა მთელ რუსეთშიც.

და აკი მთელი რუსეთის შევიწროვებული საზოგადოებაც ხმა მაღლა ღაღადებს „მოიწვიეთ საერო საარჩევნო კრება!" დაგვიხსენით „ჩინოვნიკების" ხელიდგანაო!".

ი. გ.

კავკასიაში 432 კაცი			
…ძან. I	წ.—252 კაცი	30 კაცი	7 კაცი
	58,33%	6,94%	1,62%
„ II	„—147 კაცი	28 კაცი	3 კაცი
	37,21%	7,08%	0,75%
„ III	„—133 კაცი	18 კაცი	3 კაცი
	36,53%	4,94%	0,82%
„ IV	„—98 კაცი	8 კაცი	—
	29, 57%	2,33%	—

ამ ცხრილიდან ცხადად სჩანს, რა განსხვავებაა, …სამშობლოში მსახურობს ქუთაისის გუბერნიის …მკვიდრი, თუ რუსეთში. განსაკუთრებით ამ განსხვავებას სიკვდილის და უვარგისთა მაჩვენებელი ციფრები ააშკარავებენ, სახელდობ, უვარგისთა რიცხვი იქ ორჯერ მეტია, ხოლო გარდაცვლილთა რიცხვი სამჯერ მეტია, ვიდრე კავკასიაში. იქ ავად …ხდება 47,6 პროცენტი, აქ კი—40,16 პროც.; იქ ანთავისუფლებენ სამსახურისათვის უვარგისობის გამო 11,18 პროცენტს, აქ კი—5,32 პროცენტს.

ექიმ ქორქაშვილის II ცხრილიდან ვტყობულობთ, თუ რა ავადმყოფობა უფრო არის გავრცელებული ჩვენებურ ჯარის კაცებს შორის რუსეთსა და კავკასიაში. იქ სასუნთქავ ორგანოების ავადმყოფობა აღწევს 35 %-ს აქ კი ადის მხოლოდ 21%-დის. პლევრიტით იქ 5-ჯერ მომეტებული ავადმყოფობაა, ვიდრე ქუთაისის გუბერნიაში. მესამე ცხრილით ექიმი გვიმტკიცებს, რომ პლევრიტულ ავადმყოფობით უვარგისნი არიან რუსეთში 43,3 %, ხოლო აქ 8,8%. სისხლის ნაკლებობის გამო გაუნთავისუფლებიათ იქ 6,7%, აქ კი ამგვარები სულ არ ყოფილა. საზოგადოდ სასუნთქავ ორგანოების ავადმყოფობით იქ დაუთხოვიათ 30 კა…იდან 20, აქ კი 45-დან 19, ანუ 17-% რუსეთში, … 4%—კავკასიაში.

… და უკანასკნელ ცხრილიდან ჩვენ …ბთ, რომ ქუთაისში პლექით ავად-…ჯარის კაცების მომეტებულ ნაწილს ან…თავისუფლებენ (38,4%), ხოლო რუსეთში ნაკლებს —33,4%. 9 პლექიანში 4 მოკვდა და 5 გაანთავისუფლეს, აქ კი 17-ში ორი მოკვდა, ხოლო 15 გაანთავისუფლეს. ამას ქუთათური ექიმი იმით ხსნის, რომ ჩვენში ავადმყოფები ახლოს არიან ჰირის…ფულებთან და ამათ ადრე გაჰყავთ ისინი საავადმყოფოდან, იქ კი, სიშორის გამო, ავადმყოფები საავადმყოფოშივე იხოცებიან.

ამრიგად, როგორც ექიმი ქორქაშვილი ნათლად ამტკიცებს, ქართველ ჯარის-კაცების გაგზავნას რუსეთში მეტად ცუდი შედეგი მოჰყვა ყოველის მხრით: 1899—1903 წწ. ქუთაისის გუბერნიიდან გაუყვანიათ 13,835 კაცი, რომლებიდანაც 10,051 კაცი გაგზავნეს რუსეთის სხვადასხვა გუბერნიებში. ამ 10,051 სალდათიდან დაბრუნებულა შინ უვარგისი 3,859, ხოლო 854 კაცი იქ სამსახურში ყოფნის დროს მომკვდარა. ისინი რომ აქ დაეტოვებინათო,—ამბობს ექიმი,—ეს რიცხვი განახევრდებოდა: უვარგისი გამოდგებოდა 1929, ხოლო დაიხოცებოდა 284 კაცი და ამნაირად 2500 ჯანსაღი ახალგაზდა კაცი შერჩებოდა გუბერნიას და, მაშასადამე, ჯარიც ამდენით მეტი იქნებოდაო. ამისათვის «**საჭიროა, რომ ქუთაისის გუბერნიის მკვიდრი იხდიდეს სამხედრო სამსახურს კავკასიაშივე. ეს სასარგებლო იქნება როგორც ჯარის ინტერესებისათვის, ისე თვით ჯარის-კაცებისთვის**».

და ბოლოს ქუთათური ექიმი ამ საქმეს უფრო ფართო ხასიათს აძლევს და ასეთის შეკითხვით ათავებს თავის მოხსენებას: „განა ყოველის მხრით უფრო გონივრული არ იქნებოდა რომ რუსეთის ყველა მცხოვრებნი იქ იხდიდნენ სამხედრო ბეგარას, სადაც მუდამ ცხოვრობენო?".

ასეთია ექიმ ქორქაშვილის შინაარსიანი მოხსენება. მის მიერ ანუსხული ფაქტები და თვით საგანი გამოკვლევისა ისე დიდმნიშვნელოვანია, რომ ჩვენს საზოგადოებას მართებს მასზე ზრუნვა და საჭირო ღონისძიების მოფიქრება.

დღეს ექიმ გ. ქორქაშვილს, რომელსაც, სხვათა შორის, ექიმთა საზოგადოებაშიაც სიცოცხლე შეჰქონდა და გულწრფელი მომქმედი წევრი იყო, მოუმიზეზეს და, როგორც სამხედრო „სათადარიგო" ექიმს, „კომანდიროვკა" დაუნიშნეს და ტემირხანშურაში უკრეს თავი. „ძალა აღმართსა ხნავსო", სთქვა ქუთაისის ნიადაგს შეჩვეულმა ექიმმა, და ამ რამდენისამე დღის წინად უკვე წავიდა ახალ ადგილას მოსაკალათებლად..

ის.-არიძე.

სადღეისო

ველურია თუ მონა.

ბრაზი გერევა, როდესაც კითხულობ ზოგიერთ რუსულ გაზეთის აზრს კავკასიაზე ან გესმის ზოგიერთების ლაპარაკი აქაურ საქმეების შესახებ.

კავკასია ველური ქვეყანა იყო და ახლაც ველური არის, ვერას გზით ვერ მოხერხდება მისი განვითარებაო.

ამ ასი წლის წინად იკისრეს რუსებმა კავკასიელების განათლება, ბევრი ფული დახარჯეს, იშრომეს, მაგრამ ვერაფერს გახდნენ,—კავკასია დღესაც კიდევ ვერ არის იმდენად განათლებული, რომ მიენიჭოს მას ყველა საპოლიტიკო თავისუფლება. ამიტომ რუსეთში თუ შემოვიდა ახალი წესწყობილება, არ შეგვიძლიან ამ წესწყობილებაში თანასწორი მონაწილეობა მივცეთ კავკასიელებს,—კავკასიაში უწინდელივით უნდა შეგვრჩეს ბატონობაო:

რატომ?

იმიტომ, რომ ამ ასი წლის განმავლობაში კავკასიის მკვიდრი ხალხები, სხვის მონამორჩილად გამხდარი, ხმის ამოღებას ველარ ჰბედავდნენ და სხვის ბრძანებას ასრულებდნენ ყოველთვის მორჩილად?

იმიტომ, რომ ამდენი ხნის განმავლობაში ვერ მოახერხა რუსეთმა აქაურობის განვითარება ისე, როგორც შუაგულ რუსეთისა, და რომ ყოველნაირ უფლებას მოკლებული კავკასიის ხალხები დღემდის ერთგულობას უცხადებდნენ საერთო სახელმწიფოს და სისხლს ღვრიდნენ ომიანობის დროს რუსეთის გასაძლიერებლად?

არა! ამნაირი მდგომარეობა შეუძლებელია შემდეგისათვის, შეუძლებელია მით უფრო, რომ ამ ორი წლის განმავლობაში აშკარა შეიქმნა ჩვენთვის არსებულ წყობილების უვარგისობა.

რუსეთში ამჟამად თუ არის მოწადინებული საზოგადოება ბიუროკრატიის მაგიერად შემოიღოს საერო კრება, რომ ხალხი თვითონ იღებდეს მონაწილეობას საკუთარ საქმეების მართვა და გამგეობაში,—ჩვენც უნდა ვეცადოთ და მოვსპოთ ყველა ის მიზეზი, რომელიც ჰქმნის შეუძლებლად კავკასიის მკვიდრ ხალხთა განვითარებას.

გარეშეთ მოსული, სხვის სახლში გაბატონების მოსურნე მტრობას, შინაურ განხეთქილებას იწვევს და შესცქერის გახარებული კავკასიელების გადამტერებას ერთმანეთში.

ქართველი და სომეხი გადაამტერეს ერთმანეთს, ეროვნულ სიძულვილის ალი გააღვიეს და ისარგებლეს ამ სიძულვილით, რომ დაიმორჩილონ, დაიჯაბნონ ორივე ერი. წააჩხუბეს ერთმანეთს სომეხი და თათარი, აქაც ჩამოაგდეს სიძულვილი და მტრობა, გამოიწვიეს სისხლის ღვრა და ეხლა ალბათ ეცდებიან გადაამტერონ თათრები ქართველებს,—აკი გაავრცელეს კიდეც წინდაწინვე ხმები, აჭარლები ემტერებიან ქართველებს.

რა მოვიგეთ, სხვის ნებაზედ სიარულით ამ ასი წლის განმავლობაში? სად არის ჩვენში ერობა, სად არის თვითმმართველობა, სად არის სასწავლებლები, ნუ თუ იმისთვის შეუერთა ქართველმა ერმა თავისი ბედი რუსებს, რომ მოიკლოს ყოველიფერი და შორიდან უყუროს რუსეთის განვითარებას,—მოიხაროს ქედი მორჩილად, როდესაც ართმევენ მიწა-წყალს, ართმევენ დედა-ენას და აშკარად ცდილობენ ბოგანო ხალხად აქციონ წინეთ ძლიერი და განათლებული ქართველი ერი?

ვერ იცხოვრებს ორი ადამიანი ერთად, როდესაც ერთად ცხოვრება ორივესთვის სასარგებლო არ არის,—ასევე უნდა იყოს ორივესთვის სასარგებლო და ამიტომ სასურველიც ერთად ყოფნა, როდესაც ორი ერი სცხოვრობს იმავე საზღვრებში.

მართალია, შეიძლება ძალით შეირჩინოს თავისთან ადამიანმა მეორე ადამიანი და ამის უნებურად ამუშავოს თავისთვის, მაგრამ ამნაირ დამოკიდებულებას ეწოდება მონობა და ასეთივე მონაა ის ერიც, რომელიც სხვის ხელში მეწველ ფურად არის გამხდარი და ხმის ამოღებას ვერ ჰბედავს მით უფრო მაშინ, როდესაც ალაპარაკდა მთელი ქვეყანა და ყველას უნდა მოიხვეჭოს ცხოვრებისათვის შესაფერი უფლება.

მონაა! მონა არის ადამიანი დამუნჯებული, მონაა ყველა, ვინც ითმენს მორჩილად ყოველგვარ შეურაცხყოფას, ხმას არ იღებს და მხოლოდ ხანდახან უჩოქებს ბატონს, შესცქერის თვალებში და უნდა ამოიკითხოს მის გულის სიღრმიდან საიდუმლო სურვილი, რომ აასრულოს მაშინვე და მადლობის ნიშნად მიიღოს ბატონის სუფრიდან გადმოგდებული პურის ნატეხი.

მონაა! მონა, ვინაიდან არა აქვს ადამიანური თავმოყვარეობა და უყვარს სამარცხვინო მონობის ჯაჭვები.

ჯაჭვები ჰქონდა რუსებსაც, მაგრამ ეხლა გაისმის ყველგან ხმა, დამსხვრეულ ჯაჭვების ხმა და რუსეთის ერმაც აიმართა წელი და გაბედულად გადასდგა ფეხი ახალ გზაზე, რომელიც მისთვის დღევანდლამდის დახშული იყო.

ჩვენ ცხოვრებასაც აწუხებს ჯაჭვები,—საზოგადო ცხოვრებას და ეროვნულ განვითარებას აჩერებს ჯაჭვები და ორივეს სჭირია დანსხვრევა, თუ არ გვინდა სამუდამოდ შეგვრჩეს მონობის სახელი.

თავის თავად არა კეთდება რა დედამიწაზე. ჩვენი ქვეყნის ზოგიერთ კუთხეში უკვე შეიგნო ხალხმა ეს ჭეშმარიტება და, სხვის დახმარებაზე, გარედან საქმის გაკეთებაზე რომ გაიტეხა გული, თვითონ ცდილობს გააუმჯობესოს თავისი მდგომარეობა.

კავკასია ველური ქვეყანა არის, ამბობენ რუსები, და სწორედ ამიტომ აღარ შეიძლება. მათსავე ხელში დარჩეს შემდეგშიაც აქაურ საქმეების მართვა და გამგეობა. გამოჩნდა უკვე, რომ რუსის ბიუროკრატიას არ შეუძლია იზრუნოს კავკასიაზე და კიდევ ასი და ორასი წელიწადიც რომ ვიყოთ მისივე იმედით, მაინც არა გაკეთდება-რა და ქართველებს ეხლანდელი კი შერჩებათ მხოლოდ ჩამორჩენა, ამ ჩამორჩენისთვის დაცინვა და მონობა.

საჭიროა სრული თვითმართველობა. რუსეთის საზოგადოება თუ ითხოვს თავისთვის საერო კრებას, ე. ი. თვითმართველობას, ჩვენც უნდა მოვითხოვოთ თვითმართველობა ჩვენთვის, კავკასიისთვის, ვინაიდგან ცხადია, რომ, დღეს თუ არა, შემდეგში მაინც უნდა შემოვიდეს საზოგადო ცხოვრებაში პრინციპად: რომ კავკასიის მკვიდრთა ხელში უნდა გადვიდეს კავკასიის მართვა და გამგეობა!..

ნ. ნ.

პრესსა

„მოსკოვის უწყებები" გადმოგვცემს რუსეთის ეხლანდელ მდგომარეობის დასახასიათებლად სხვადასხვა საინტერესო ფაქტებს. მოსკოვის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებას, მაგ., გაუგზავნია ოფიციალურად სხვადასხვა სოფლებში „პროკლამაცია":

> ამ საზოგადოების წევრი ა. ტურგენევი აუწყებს ყველას, რომ 14 იანვრის სხდომაზე საზოგადოება შემდეგ გადაწყვეტილებას დაადგა.
>
> მთავრობის ხანგრძლივ ძალმომრეობით და ხალხის აუტანელ ეკონომიურ მდგომარეობით გამოწვეული უკმაყოფილება ამ ჟამად ყველგან მოედო ხალხს, ქალაქ ადგილებში და სოფლებშიაც.
>
> ის საპოლიტიკო უფლებები, რომელსაც თხოულობს თვით ცხოვრება, სანატრელი შეიქმნა რუსეთის საზოგადოების უმეტესობისთვის და 9 იანვრის ამბებმა პეტერბურგში დაამტკიცეს, რომ მთელი ხალხიც ამავე მიმართულებას ადგა. ბიუროკრატიულ მთავრობას არ შეუძლია ჩამოაგდოს სიმშვიდე,—ამას ამტკიცებს მუშა ხალხის, ქალების და ბავშვების ცემა-ტყეპა და ამოჟლეტა პეტერბურგში. ეს ცემა-ტყეპა, ეს ამოჟლეტა მაშინ, როდესაც ხალხი მშვიდობიან დემონსტრაციას ახდენდა,—საზარელი რამეა, ბოროტ-მოქმედებაც და შეუძლებელია პატიოსანმა ადამიანმა არ გამოაცხადოს ამნაირ შემაძრწუნებელ მოვლენაზე თავისი პროტესტი.
>
> მოსკოვის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებას შეუძლებლად მიაჩნია გაჩუმდეს ამნაირ დროში და 14 იანვრის კრებაზე მან შემდეგი დადგენილება მიიღო.
>
> 1—გამოაცხადოს თავისი ღრმა გულის წყრომა იმ მხეცურ ძალმომრეობის გამო, რომელიც გამოიხატება უიარაღო მუშების ამოჟლეტაში მაშინ, როდესაც მუშებს უნდოდათ მშვიდობიანად განეცხადებიათ თავიანთი უფლებები და უმთავრესი მოთხოვნილება.
>
> 2—აღიაროს, რომ ამნაირ მდგომარეობიდან გამოსასვლელად არის ერთად ერთი საშუალება,—დაუყოვნებლივ იქმნეს მოწვეული დამაარსებელი კრება და ამ კრებაში არჩეულ იქმნენ ხალხის წარმომადგენლები საყოველთაო, ყველასათვის თანასწორ პირდაპირ და ფარულ კენჭის ყრით.
>
> ეს გადაწყვეტილება ეუწყოს ყველა საგუბერნიო და

სამხრო საერობო მართველობას, ყველა ქალაქის საბჭოებს, სოფლის კანცელარიებს და ყველა სამეურნეო საზოგადოებას".

მოსკოვის გაზეთის სიტყვით, ეს განცხადება რამდენიმე ათას ცალად დაიბეჭდა ხალხში გასავრცელებლად.

—

„ვარშავსკი დნევნიკს" არ მოსწონს მუშების გაფიცვა და ირწმუნება, ვითომც ყველა მისი აზრის იყოს და მასავით მუშების დამონების მომხრე ყოფილიყოს.

„ამ ბოლოს დროს ნამეტან თავგასულობას იჩენენ მუშების მეთაურებიო, ფულს ჰგლეჯენ ყველას, შინაურ მოსამსახურეებსაც აჯანყებენ, ერთმანეთს ექიშპებიან არეულობის მოხდენაში".

გაზეთს ვერ შეუმჩნევია ვარშავში პოლიციელთა თვითნებობა და თავგასულობა, ამიტომ უკვირს, ალბათ, თუ მუშები ეხლა სამაგიეროს უხდიან პოლიციელებს და ძალას იგერებენ ძალითვე.

—

არაფერ გინების სიტყვას არ ზოგავს „ხარკოვის საგუბერნიო უწყება" სტუდენტების და პროფესორების საწინააღმდეგოდ. მათი მოქმედება „ბარბაროსობა" არის. გაფიცვა შეშვენის მუშა ხალხს, რომელიც ფიზიკურ შრომას ადგია, მაგრამ სასაცილოა ამავე გზას დაადგეს მოსწავლე ახალგაზრდობა.

„არ შეშვენის მოსწავლე ახალგაზრდობას, რომელიც უნდა პატივს სცემდეს სწავლას და მეცნიერებას, გამოვიდეს გარედ და უსაქმურად ატარებდეს დროებას, არ შეშვენის თავისუფლების მოტრფიალეს ძალა დაატანოს სხვას და სწავლაზე ხელი აალებინოს იმათ, ვისაც სწყურია სწავლა!

ხარკოვის გაზეთს ალბათ ჰგონია, რომ დღევანდელ დღეს, როდესაც ყველა უმაღლესი სასწავლებელი გაფიცულია,—მხოლოდ სწავლის მოტრფიალენი სწავლობენ, მხოლოდ ზარმაცები იღებენ მონაწილეობას საერთო გაფიცვაში. ალბად იმიტომ არის, რომ ურჩევს სტუდენტებს „მოჰშორდით უსვინდისობას და ემსახურეთ სიმართლეს"

მაგრამ რომელი არის უსვინდისობა და სად არის სიმართლე?

—

გაზ. «გრაჟდანინის» რედაქტორს, ცნობილ თავადს მეშჩერსკის, არ მოსწონს... მეფის უკანასკნელი ბრძანება საერო კრების შესახებ.

„ეს რესკრიპტი ფრთას ასხამს ყოველგვარ სალიბერალო ოცნებას, და პეტერბურგელის გულს არ ეხალისება ასეთი საქმე".

აქ, პეტერბურგში, თუ შესდგა საერო კრება, ხალხი, უმეტესობა იქეთკენ გზასაც არ იკითხავს, მხოლოდ ჟურნალისტები და ვექილები გაბატონდებიან კრებაში.

ყვირილი შეუძლია და ეხალისება ყველას, მაგრამ კრებაზე სიარული, ხალხის გულისთვის შრომა—ამის მსურველი არ გამოჩნდება არავინ.

კიდევ კარგი, რომ თ. მეშჩერსკის საზოგადო თვისება ის არის, რომ არ იცნობს სრულებით რუსეთის საზოგადოებას და, აი, სწორედ ამტომ არის, რომ ამ გაზეთის მკითხველები მხოლოდ გენერლებია.

მაგიერად აი როგორ ახასიათებს გაზეთი თავის მუდმივ მკითხველის,—გენერლის სულის კვეთებას.

„მანამ შეიძლებოდა ყოველ 20 რიცხვში მსხვილ-მსხვილ ჯამაგირის მიღება ერთი საათის შემდეგ ყვირილი „გაუმარჯოს კონსტიტუციასო" იმ იმედით, რომ ამისათვის მის აღმატებულებას ციხეში არავინ ჩასვამს და კონსტიტუციას მაინც არავინ მისცემს,—ჩვენი გენერალიც ყველგან ლიბერალ სიტყვებს ამბობდა და თითქმის გაპონის სადღეგრძელოსაც სვამდა. ეხლა ვეღარ იცნობს მას ადამიანი, თითქო გაცივებულა ან სიკვდილის ჟამი უგვრძნია ჩვენ აღმატებულებას. რისგან! რა მოხდა? იმიტომ, რომ ის, რაც გუშინ მხოლოდ სახუმარო გასართობად მიაჩნდა, აუსრულებელ რამედ, დღეს სრულდება და „გაზაფხულის სიო" შემოდგომის ქარსავით შეერგო გენერალს და გაისმის საცოდავის ყურში ამ ქარის ზუილი: „მოვა კონსტიტუცია და მიდის 20 რიცხვი და მსხვილი ჯამაგირიო".

საბრალო გენერალი! საბრალოულის ღირსია მისი მუდმივი მოტრფიალე მეშჩერსკიც! „შემოდგომის ქარია", „სიკვდილის ნიშანია" მისთვის ახალი ხანა.

რუსეთი

ჟურნალ „მირ-ბოჟის" იანვრისა და თებერვლის ნომრებს შემდეგი განცხადება ახლავს თან რედაქციისაგან: ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზისა გამო ჟურნალში ვერ ვათავსებთ ვერც „კრიტიკულ შენიშვნებს" და ვერც „შინაურ მიმოხილვას".

„ნაშა ჟიზნის" და „ნაში დნი"-ს რედაქტორ-გამომცემლებს ხერსონის მოქალაქეებისაგან მრავლად ხელმოწერილი ადრესი მიუღიათ, სადაც თანაგრძნობას უცხადებენ იმათ: თქვენ გამოცემათა დაკეტვამ გული მოგვიკლა; ამით გიცხადებთ თანაგრძნობას. ყველა თქვენი მკითხველი თქვენკენ იყურება და იმედი აქვთ, რომ მალე გაიგონებენ ისევ თქვენ მართალ სიტყვას. („რ. უ.").

პეტერბურგის არსენალში 16 თებერვალს 1,188 მუშას შეუწყვეტია მუშაობა. მუშები დაუთხოვნიათ. («რუსი»).

შეუწყვეტია მუშაობა როზენკმანის სპილენძის ქარხნის 1,411 მუშასაც, რომლებიც ქარხანამ დაითხოვა. („რუსი").

დვინსკში ადმინისტრაციას თეატრი დაუკეტია, რადგანაც თეატრის პატრონისაგან მოუთხოვია შეუძლებელი რამე: წარმოდგენებზე მხოლოდ წყნარი ხასიათისა და «კეთილ-საიმედო» მაყურებელი შეუშვიო. („რუსი").

უნივერსიტეტის რექტორი და ვიცმუნდირი. უნივერსიტეტის საბჭოს სხდომაზე ყაზანში ერთი პროფესორთაგანი მიუბრუნდა რექტორს, დუბიაგოს და ჰკითხა, მართლა თქვენ გაუგზავნეთ მთავრობას უსახელო წერილი, რომელშიაც სტუდენტებს არეულობის სულის ჩამდგმელად პატივ-დამსახურებული პროფესორი და მოღვაწე დაასახელეთო? ამ უსახელო წერილის ამბავმა მხოლოდ შემთხვევით იჩინა თავი სასამართლოში სტუდენტების საქმის გარჩევის დროს. რექტორმა განაცხადა, რომ მოვალე ვიყავ წერილი მთავრობისათვის გადმეცა, რადგანაც ვიცმუნდირს ვატარებო.

ამ განცხადებით აღშფოთებულმა პროფესორებმა დუბიაგოს კოლექტიური წერილი გაუგზავნეს, სადაც მას თავიანთ ღრმა გულის-წყრომას უცხადებენ ისეთის საქციელის ჩადენისათვის, რომელიც არ შეჰფერის პროფესორის მაღალ სახელსო. („კიევ.").

რუსული „თვითმართველობის" ნიმუში. კიევის მაზრის ქალაქ სკვირში თურმე სულ 20 ხმოსანია. იმათგან:

1, აბრამ საიჩენკო.
2, სიძე მისი პოტაპ ფლისენკო.
3, ცოლის ძმა ვიარშავეცი.
4, ძმის-წული მისი მაქსიმე დევალენკო.
5, ბიძაშვილი მისი ფილიპე კონდატენკო.
6, ნათლია მისი რომან რეენტი.
7, ნათლია მისი ივანე ბაბინიუკი.
8, ნათლია მისი პეტრე ზბროშენკო.
9, ნათლია მისი მიხეილ ნეიმანოვიჩი.
10, ნათლიმამა მისი პეტრე ნოვოსელსკი.
11, ნათლიმამა მისი პეტრე ნოვოსელსკი.
12, ნათლიმამა მისი თევდორე კისტი.

სულ საიჩენკოს ოჯახს საბჭოში 20 ხმიდან 12 ხმა ჰქონია; ან, უკედ, ქალაქის პატრონი აბრამ საიჩენკო ყოფილა. თვითმართველობის პრინციპიც ასეთი უნდა!. („რუს.").

პეტერბურგის სამასწავლებლო ინსტიტუტში 12 თებერვალს **შეწყვეტილა** სწავლა და, მზრუნველის თხოვნის მიუხედავად, ჯერაც ინსტიტუტი დაკეტილია. („რუს").

13 წლის ტუსაღი აღმოუჩენია პეტერბურგის ციხეში «რუსის» ერთ კორესპონდენტს, ტუსაღი, რომელსაც მარტო ის მიუძღოდა დანაშაულად რომ გარყვნილმა და ჭკუა შეშლილმა ძალუა ბავშვობისას რისთვისაც პეტერბურგში ჩაიყვანა და ქუჩაში დასტოვა. პოლიციელს ბავშვი დაუნახავს, პოლიციაში წაუყვანია და იქიდან კი ბავშვი.. ციხეში გამხდარა. ბავშვმა უდანაშაულომ, მშრომელ და პატიოსან ოჯახიდან გამოსულმა, ციხის მეტი სხვა ბინა ვერ იპოვა იმოდენ ქალაქში, როგორიც პეტერბურგია, სადაც სხვადასხვა საზოგადოება არსებობს, რომელსაც აზრად ბავშვების შველა და პატრონობა აქვს.

საინტერესო, აქ სხვა გარემოებაა კიდევ. ციხეში ამისთანა პატარა „ტუსაღები" მრავლად გროვდებიან თურმე. და ისე უტკბებათ ციხეში ყოფნა, რომ მშობლიურ კერასაც ივიწყებენ. მაგრამ სიტყვა «მშობლიური» მხოლოდ მწარე ირონიაა ამ პატარებისათვის. გაუნათლებელი, ღარიბ-ღატაკი, მშიერი ოჯახი! ქუჩაში ისვრის ზედმეტ გასაძღომ მუცელს და ბინად ბოლოს ციხეს უჩენს მას. ეს მშიერი, ციხის კედლებთან მიკრული ბავშვები—თავის მოჭრაა ჩვენთვისო,—უმატებს კორესპონდენტი («რუს»).

ტეხნიკურ საზოგადოებაში პეტერბურგში ინჟინერთა კავშირის სხდომის დროს პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის პროფესორმა პოსნიკოვმა განაცხადა, რომ მუშების საკითხის ჭეშმარიტ ნიადაგზე დაყენება და გადაწყვეტა მარტო მაშინ იქნება შესაძლებელი, როცა არსებული პოლიციური რეჟიმის ადგილს უფლება-მოპოვებული კანონიერებაზე აშენებული წესწყობილება დაიჭერსო. („რუსი").

პეკივის შაქრის ქარხნის გამგე ყოველს ღონისძიებას ხმარობს, რომ ქარხანაში ფეხიც არ შესდგას გაზეთის თანამშრომელმა; ნაბრძანებია, რომ არავითარი ცნობა არ მიეცეს მას, არც ქარხნის წესების და არც მუშების მდგომარეობის შესახებ. თვით მუშებს ბინა იქვე ქარხანაში აქვთ და კარში თითქმის არც კი უშვებენ. შესავალში ყარაული სდგას. („რუსი").

პოლონურ ენაზე სახალხო ლექციის წაკითხვა პეტერბურგში და საერთოდ სატახტო ქალაქებში აქამდის შეუძლებელი იყო. ეხლა პირველად პოლონურად ლექციის წაკითხვის ნება მისცეს დოკტორანტ კასპეროვიჩს. ((«ნოვოსტ»).

მინისტრთა კომიტეტის ბჭობა გაძლიერებულ დაცვის დებულებაზე.

ფრიად საინტერესო და საგულისხმო სჯა ჰქონია მინისტრთა კომიტეტს 11 იანვარს მომხდარ სხდომაზე. საზოგადოდ რუსეთის შეგნებული ნაწილი, როგორც ვიცით, გულგრილად და უიმედოდ უყურებს ამ კომიტეტის სხდომებს, რომელზედაც მინისტრებს, სენატორებს და გენერლებს თათბირი აქვთ აწინდელ წესწყობილების შეცვლის შესახებ. ამის-და მიუხედავად ჟურნალ-გაზეთობა და მასთან ერთად საზოგადოებაც თვალს ადევნებს მაინც წარჩინებულ ბიუროკრატთა თათბირს, რადგან თუ აწინდელ წყობილების ფესვებს ვერ ეხებიან ესენი, ზედაპირის განხილვაში მაინც არიან და ხშირად უვარგისობას აჩენენ აქა-იქ. ასეთ მნიშვნელობისა იყო 11 იანვარს მომხდარი კრება, რომელზედაც განხილულ იქმნა ესრედ წოდებული გაძლიერებული დაცვის დებულება, შემოღებული 1881 წ. სახელმწიფო წესწყობილების დასაცველად.

შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგმა, სენატორმა დურნოვომ, მოახსენა კრებას, რომ მეოთხმოცე წლებში ის საპოლიციო დეპარტამენტის დირექტორად იყო და შეძლება ჰქონდა დაახლოვებით გაეცნო, რა გვარად მოქმედებდა ხსენებული დებულება და რა მოულოდნელი და არა სასურველი შედეგი მოჰყვა მას ცხოვრებაში. ამ დებულების ძალით საგუბერნიო ადმინისტრაციას უფლება ჰქონდა,—ყველასთვის ვინც კი მთავრობისათვის საეჭვო კაცად მიაჩნდა, აეკრძალა გუბერნიაში ცხოვრება და გადაესახლებინა საპოლიციო წესით სადმე, სხვა გუბერნიაში. დებულებამ თვითმპყრობელ ბატონებად გახადა გუბერნატორები და რადგან ამ გაძლიერებულ დაცვის შემოღება ადგილობრივ ადმინისტრაციის სურვილზე იყო დამოკიდებული, ამიტომ გუბერნატორებმაც მაშინვე მიაყარეს საპოლიციო დეპარტამენტს თხოვნები,—ეს წესი ჩემდამი რწმუნებულ გუბერნიაშიც შემოიღეთო.

ამ დებულების უსარგებლობა პირველ ხანშივე გამომჟღავნდა. გუბერნიიდან განდევნილ პირთ შეეძლოთ დასახლება მხოლოდ იქ, სადაც დებულება ჯერ არ იყო შემოღებული, და რადგან ამისთანა გუბერნია და ქალაქი რუსეთში ცოტა დარჩა, ამიტომ განდევნილები მრავლად იყრებოდნენ ამისთანა ადგილებში და, რადა თქმა უნდა, თავისას არ იშლიდნენ... ამას შედეგად მოჰყვა ის, რომ ამ ადგილებშიაც გაჩნდა მთავრობის საწინააღმდეგო მოძრაობა. ამგვარად ის ქალაქი და გუბერნიაც, რომელიც მანამდინ მშვიდობიანი იყო, იძულებული ხდებოდა გაძლიერებული დაცვა შემოეღო. ამ მხრივ დებულება უფრო ავრცელებდა რუსეთში მთავრობის საწინააღმდეგო მოძრაობასო. ამიტომ,—დასძინა სენატორი,—აუცილებლად საჭიროა ამ დებულებიდამ გამოირიცხოს ეს განდევნის უფლება ან არა და ძლიერ შეიზღუდოს პრაქტიკულად გამოყენების მხრითო.

გარდა ამისა, გაძლიერებულ დებულების ძალით ადგილობრივ პოლიციას ნება ეძლევა საეჭვო პირნი დააპატიმროს და მათი სახლი მოულოდნელად გაჩხრიკოს. ამ უფლების გამოყენება შესაძლებელია არა მარტო პოლიტიკურად საეჭვო პირთა შესახებ, არამედ ყველას მიმართ, ვინც კი წესიერებას არღვევს ქუჩასა და საზოგადოების დაწესებულებაში. მეტად უსამართლოა ის ჯარიმაც, უნდა გადაიხადოს, რომელიც დებულების ძალით, წესიერების დამრღვევმა ხშირად სრულიად უმნიშვნელო დანაშაულობისათვის ბოქაულის ჩივილით, მაგ., ქუჩაში ცხენით, ან ეტლით ძლიერ სწრაფად რად მიდიოდა, ან ქუჩაში ნაგავი რად გადაყარაო. ყველა ამ უფლების გამოყენება ადგილობრივ ადმინისტრაციის მიერ საზოგადოებაში უკმაყოფილებას აჩენდა მთავრობისადმი და მძულვარებას აძლიერებდა.

კომიტეტმა დაადგინა, მოწვეულ იქმნეს განსაკუთრებული კომისია უმაღლეს ნდობით აღჭურვილ პირთა და დაევალოს მას არსებულ დებულების შეცვლა იმ მოსაზრებათა მიხედვით, რომელნიც მინისტრთა კომიტეტის სხდომაზე წარმოითქვა.

კორესპონდენცია

ერევანი.

შეტაკება თათრებსა და სომხებს შორის.

ბაქოს ამბებმა აქაც აადელვა ხალხი. ისე აზავთებულნი იყვნენ ერთმანეთზე სომხებიცა და თათრებიც, რომ დღე-დღეზე მოელოდნენ ერთმანეთზე მისევას. თუმცა ყველა ზომები იყო მიღებული, მაგრამ მაინც ვერ ავცდით ამ სამწუხარო მოვლენას.

ერევანში ორი სავაჭრო მოედანია; ერთზე შეშასა და თივას ჰყიდიან, მეორეზე სიღლეულობას და სხვადასხვა სანოვაგეს; მოედნები ერთმანეთზე 50 საჟენით იქნება დაშორებული. კვირას 20 თებერვალს, ასე საათის ცხრაზე თუ ათზე დილით, სათივე მოედანზე ორი თათარი რაღაცაზე წაიჩხუბა, ამოიღეს რევოლვერები და დაუშინეს ერთმანეთს. ერთი იმათგანი დაიჭრა მეორემ აიცდინა,—იმის მაგიერ უცაბედად მოხვდა ახლო მყოფ სომეხს, რომელიც მსუბუქად დაიჭრა, ხალხი შეიძრა, აღელდა. საქმის გაურჩევლად, ასე ვიღაცამ დაიყვირა; „ჩვენებსა ხოცავენო"! სომხებს ეგონათ, რომ თათრებმა დაიწყეს კიდეც; თათრებს-კი ეგონათ, რომ სომხებმა დაიწყესო (ასე გადმოგვცა ერთმა თათარმა) შეიქმნა ერთი არეულობა, გაიქცნენ შინისკენ თავმოკლეჯილები შესაიარაღებლად. გარბოდნენ უფრო სომხები, რადგანაც, სომხებს, ორიოდეს გარდა, დუქნები დაკეტილი ჰქონდათ და მოედნებსა და დუქნების წინ მრავლად იყვნენ სომეხთაგანი მუშა და ნოქარი. ამ დროს სომეხთაგანი მოჰკლეს 7, დასჭრეს 5; თათართაგან დაიჭრა მხოლოდ 2. თუ რამდენად აირია ხალხი, სჩანს იქიდგანაც, რომ ერთმა თათარმა მეორე თათარი დასჭრა მხოლოდ იმიტომ, რომ ჩაცმულობით სომეხსა ჰგავდა. ადგილობრივი მთავრობა ფეხზე დადგა, მაშინვე აფრინეს მოედნებზე ყაზახები და მცველები (სტრაჟნიკები); მაშინვე გამოვიდა სომეხთა და მუსულმანთა სამღვდელოება ხალხის დასამშვიდებლად. დაფაცურდა სომხის ინტელიგენცია და ხალხს ურჩევდა დაწყნარებულიყო და სამაგიერო არ გადაეხადნა თათრებისათვის. მართლაც, ამ ენერგიულმა ზომებმა გასჭრეს და ხალხი დაამშვიდა.

21 თებერვალს სწავლა არც ერთ სასწავლებელში არ ყოფილა. დილით ქალაქის თავი და რამდენიმე წარმომადგენელი ორივე ეროვნებისა დადიოდნენ ბაზარში და დუქნებს აღებინებდნენ. ყველა თავის საქმეს შეუდგა. მოხარული ვიყავით, რომ დაწყნარდნენ და ერთმანეთის ჟლეტას თავი დაანებეს. მადლობელი ვიყავით სომხებისა, რომ მოითმინეს და საქმე არ გაამწვავეს. მაგრამ ჩვენი სიყვარული წუთიერი გამოდგა.

ორშაბათს, დილის 10 საათზე, უცებ ისევ შექნეს ბაზარში ბათქა-ბუთქი, ისევ თათრებმა დაიწყეს. ეს ამბავი ელვასავით მოედო მთელს ქალაქს. მთელი სომხობა ქუჩაში იყო გამოფენილი, რევოლვერებით და სატევრებით შეიარაღებული. ახლა სომხებმა ვეღარ მოითმინეს, რასაკვირველია, დაბალმა ხალხმა. სადაც კი მოასწრეს თათრებს ყველგან ესროდეს რევოლვერი, თუ თოფი და დაუნდობლად ჰკლავდნენ. ამბობენ, ზოგი სახლის ბანიდან ესროდა გამვლელ-გამომვლელსაო. იმავე წუთზე ფეხზე დადგა ადმინისტრაცია და ჯარი და მალე შეაწყვეტინეს ერთმანეთის ხოცვა. პოლიციის ცნობებით, ორშაბათს მთელი დღის განმავლობაში მოუკლავთ და დაუჭრიათ 47 თათარი და 7 სომეხი. მთელი ღამე შიშს ქვეშ ვიყავით.

სამშაბათს, 22 თებერვალს, დილის 9 საათზე, სომხის საკრებულო ტაძარში შეიკრიბნენ სომხის სამღვდელოება და ეპარქიის უფროსის მეთაურობით და თათრებთან ერთად გამართნენ მაჰმადიანთა საუფლო მეჩეთში; ამათ შეუერთდა გუბერნატორი, იმისი თანაშემწე, მაზრის უფროსი, პოლიცმეისტერი, ქალაქის წარმომადგენელნი და სომხისა და თათრის ინტელიგენცია. ეს დიდებული პროცესია ქუჩა-ქუჩა დადიოდა. და ხალხს ამშვიდებდა. პირველ საათზე დუქნები გაიღეს. დღეს, ოთხშაბათსაც, დუქნები ღიაა ხალხი საქმეს შეუდგა, თუმცა კი ხალხს აღელვება კიდევ ეტყობა. სკოლებში სწავლა ჯერ არ დაწყებულა.

გუშინ მთელი დღის განმავლობაში თათრებმა მოჰკლეს ერთი ჯარის-კაცი. რუსი,—დასჭრეს ერთი მალაკანი, ერთი სათადარიგო ჯარის-კაცი, და ერთიც მცველი (სტრაჟნიკი). ამბობენ, განაპირა ადგილებში ჯერ კიდევ არ დამშვიდებულან თათრები და გუშინ 3 სომეხი კიდევ მოჰკლესო. დღეს მაჰმადიანთა და სომეხთა სამღვდელოების გავლენიანი პირები გაემგზავრნენ ნახიჩევანში ზომების მისაღებად, რომ იქაც არ იჩინოს თავი ამ საშინელმა ძმათა-ხოცვამ.—

რომ იკითხოთ, რა აზრი აქვს ამნაირ ბრძოლას, ორივე მხარე მოგიგებთ, რომ დიდი სისულელე და სულის სიგლახავეა მეზობელ ერების ერთმანეთზე მისევა და უმოწყალოდ ჟლეტაო, აქ ხმა დადის სომხებში, რომ ვითომც რუსების კომიტეტი იყოს შემდგარი იმ აზრით, რომ ქავკასიის ერები ერთმანეთს გადაჰკიდონ, ერთმანეთს მიუსიონ და ურთიერთი აწყვეტინონ; ვითომც ამ კომიტეტს ერევანშიაც ჰქონდეს განყოფილება და ვითომც ამ ხუთი დღის წინად საგუბერნიო ქამი ურაზოვი იმიტომ მოჰკლეს რომ თავიდან მოეშორებინათ, როგორც უმთავრესი და ყველაზე გავლენიანი წევრი ზემოხსენებულ კომიტეტისაო.

X.

ღამის დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

26 რებერვალი

ტოკიო, 25 თებ. იაპონიის ლაშქარი პირდაპირ მუკდენის გზით გაემართა, ხუნხეზე გადავიდა და მოწინააღმდეგენი გასდევნა ჩრდილოეთით შვიდი მილის მანძილზე. მუკდენის აღების დროს იაპონელებმა შეიპყრეს ბევრი ტყვე და აგრეთვე ხელთ-იგდეს დიდ-ძალი თოფი სამხედრო იარაღი და სურსათი ჯერ ვერც კი მოუცლიათ ამ დავლის გადასარჩევად.

ტოკიო, 26 თებ. ომის ველიდან მოსულ უკანასკნელ ცნობებით იაპონელები ყველგან წარმატებით მოქმედობენ. ამ ჟამად მუკდენის დასავლეთით კიდევ ორი კორპუსი სდგას რუსებისა; იქ გაფთრებული ბრძოლაა. იაპონელებმა გადასჭრეს მუკდენის ჩრდილოეთით რკინის გზა და აღმოსავლეთისკენ გასწიეს. ჰფიქრობენ, რომ რუსების მიერ დატოვებული დიდ ყალიბიან ზარბაზნების რიცხვი ასამდეა. რუსებს უკანდახევას ხელს უწყობს რიგიანი ამინდი.

ლონდონი, 25 თებ. იაპონიის საელჩო იტყობინება შემდეგს ოფიციალურ ტელეგრამს: „ტოკიო, 25 თებ. გუშინ ღამ იაპონელთა ლაშქარმა დაიჭირა ფუშენი და იერიში მიაქვს რუსებზე, რომელნიც [illegible] ჩრდილოეთით.

ვაშინგტონი. გარეშე საქმეთა სამინისტროში მიღებულია გამოუქვეყნებელი დეპეშა გრიკსმანისა, ამერიკის ელჩის ტოკიოში, რომელიც იუწყება, რომ იაპონიის სამხედრო მინისტრის ცნობით იაპონიის ზარალი 23 თებერვლამდე შეადგენს 500000 (?) კაცს. გრიკსმანი განსაკუთრებით მიუთითებს მთელის ბრიგადის—5000 კაცის მთლად ამოწყვეტაზე.

პეტერბურგი. მანჯურის ლაშქრის სამხედრო-საოლქო უფროსი გენერალ-ლეიტენანტი ნადაროვი დაინიშნა მანჯურიის ლაშქრის ზურგის უფროსად.

ნიუ-ჩუანი, 25 თებ. (რეიტერი). იუწყებიან, რომ რუსები ჩრდილო-აღმოსავლეთის მთა-გორიან ადგილებისკენ იხევენ არეულ-დარეულნი ნაწილ-ნაწილად, სახელდახელოდ სიმაგრეებს იაპონელთა შესაჩერებლად. რუსები განიდევნენ მუკდენიდან. ფუშენის რკინის გზა მოსჭრეს. უკანა ლაშქრის ბრძოლა არა ყოფილა. რკინის გზის აღმოსავლეთად ტყე-ღრეებში უსურსათობისა გამო ძნელად რომ ხანგრძლივი წინააღმდეგობა შესძლონ. რუსები გირინსკენ წასვლამ შეიძლება შეაჩეროს მდ. იალუდან გამოსული იაპონელთა კორპუსი; კუროკი მიიწევს ჩრდილო-დასავლეთისკენ და რუსებს გენ. ნოგისკენ აწევება. ორივე მხრის ზარალი დიდია.

ვაშინგტონი, 25 თებ. (მორინგ-პოსტი). ტოკიოში გამწესებული ელჩი დეპეშით იუწყება, რომ იაპონიის სამხედრო მინისტრის სიტყვით ორი უკანასკნელ დღემდე იაპონელთა ზარალი 50000 კაცამდეა.

კარდიფი, 25 თებ. გუშინ ქვა-ნახშირის სამადნო აფეთქდა. 20 კაცი დაიღუპა.

კალკუტა. დღეს აქაურ მკვიდრმა მცხოვრებლებმა დიდი დემონსტრაცია გამართეს ქალაქის საბჭოს სასახლის წინ და პროტესტი გამოაცხადეს ვიცე-კოროლის სიტყვის წინააღმდეგ, რომლითაც ინდოელთ შეურაცყოფა მიაყენა. დიდძალი ხალხი თანხმობითა და თავდაჭერით მოქმედობდა.

გიბრალტარი, იმპერატორ ვილჰელმს აქ 17 მარტს მოელიან.

ლონდონი. გაზეთი „გლობი" ამბობს ტიბეტის ხელშეკრულება შეიცვალაო. წინად ხარკი 75 წლეიწადს უნდა ეძლიათ და ინგლისელებს ჩუმბის ხეობები დაეჭირათ, მაგრამ შემდეგ ინგლისი რუსეთს შეჰპირდა, ხარკი განახევრა და ხეობები მხოლოდ სამის წლით უნდა დაეჭირა. ეხლა ამბობენ, ხარკის გადახდის ვადა 25 წელი იქმნება, ინგლისი თავის დაპირებას არ შეასრულებსო.

პეტერბურგი, 25 თებერვალი. ოფიციალური. მინისტრთა კომიტეტმა 28 და 31 იანვარს განიხილა ფინანსთა მინისტრის წარდგენილება იმ ღონისძიებათა შესახებ, რომლებმაც უნდა მოაწყონ მწარმოებელთა და მომუშავეთა ურთიერთი დამოკიდებულება. კომიტეტი იმ აზრს დაადგა, რომ მუშები ეკონომიურ ნიადაგს გადასცდნენ პოლიტიკური აგიტაციისა და პოლიციის ზედგავლენით. კომიტეტმა მოიწონა ფინანსთა მინისტრის აზრი, რომ საფაბრიკო ინსპექცია ამ სამინისტროს [illegible] მწარმოებელთა და მომუშავეთა [illegible] თვის ესლანდელი [illegible]ლობისა და შეკრებულობის პირობისა და სხვა საკითხთა შესახებ. კანონ-პროექტის შესამუშავებლად დაარსდეს კომისია ფინანსთა მინისტრის თავმჯდომარეობით და იმ წევრების მონაწილეობით, რომლებიც უმაღლესად იქმნებიან დანიშნულნი. თავმჯდომარეს ექმნება უფლება მოიწვიოს მუშათა მდგომარეობის მცოდნენი. კანონ-პროექტი სახელმწიფო საბჭოს წარედგინება. მინისტრთა კომიტეტის დადგენილება უმაღლესად დამტკიცებულია 20 თებერვალს.

ლონდონი, 25 თებ. უელსის პრინცმა მეუღლითურთ ბულგარიის მთავარი დღეს სადილად მიიწვია, რომელსაც მეფე-დედოფალიც დაესწრნენ.

კიევი. სამოსამართლო პალატაში გაირჩა საქმე 23 ივლისს 1905 წ. კიევში მომხდარ უწესობის გამო. 26 ბრალდებულთაგან ორს საპატიმრო რაზმში 8 თვით გაგზავნა მიუსაჯეს, ერთს 8 თვით, დანარჩენები გაამართლეს.

ვილნო. „ვილენსკი ვესტნიკ" აღარ გამოდის.

პეტერბურგი, 26 თებ. თებერვ დილის 4 საათზე „ბრისტოლის" სასტუმროში, გოზნესენსკის პროსპექტზე, ისაკიევის ბაღის პირდაპირ, მეორე სართულში რაღამაც იფეთქა. ფანჯრების ჩარჩოები მოგლიჯა და ახლო-მახლო შუშები ჩაამტვრია. ოთახში, სადაც აფეთქება მოხდა ერთი კაცი მოკვდა 37 წლის, პასპორტით ინგლისის ქვეშევრდომი, გამოძიება სწარმოებს.

დროებითი რედაქტორი ფ. გოგიჩაიშვილი.
გამომცემელი ალ. სარაჯიშვილი.

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა).

ა) ტფილისიდან მიდის

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) ღამის 5 ს. 21 წ. (6 ს. 19 წ.); 2) საფოსტო № 4 ღამის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 44 წ. (8 ს. 42 წ.); 4) საქონლისა და სამ № 18 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.).

ბათუმს: 1) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 20 (5 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 (7 ს. 27 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღა 11 ს. 55 წ. (12 ს. 53 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90 დილის 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ბორჯომს: 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევ ნაშუადღევის 2 ს. 26 წ. (3 ს. 24 წ.); 2) საფოსტო 3) ნაშუადღევის 3 ს. 03 წ. (4 ს. 01 წ.); 3) სამგზ რო № 5 დილის 5 ს. 56 წ. (6 ს. 54 წ.); 4 საქონ.-სა გზავრო № 17 ღამის 11 ს. 38 წ. (12 ს. 36 წ.).

ბათუმიდან: 1) საფოსტო № 4 საღამოს 4 ს. 56 (5 ს. 54 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 01 (7 ს. 59 წ.).

ერევან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის ს. 35 წ. (6 ს. 33 წ); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნ შუადღევის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. (ს. 58 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლო ერთხელ კვირაში) ნაშუადღევის 1 ს. 15 წ. (2 ს. 13 წ.) 2) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 52 წ. (8 ს. 50 წ.); სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.); საქ.-სამგზ. დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

6 ბაქო-ტფილისისაკენ: 1) საფოსტო № 4 დილ 4 ს. 36 წ. (5 ს. 34 წ.); 2) სამგზავრო № 1 საღამოს ს. 05 წ. (7 ს. 03 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

1) სამგზავრო № 51 ღამის 12 ს. 50 წ. (1 ს. 03 წ.) 2) სამგზავრო № 53 დილის 8 ს. 25 წ. (9 ს. 23 წ.) 3) სამგზავრო № 55 ნაშუადღევის 2 ს. 20 წ. 3 ს. 18 წ.; 4) სამგზავრო № 57 საღამოს ს. 206 წ. (7 ს. 18 წ.)

საავადმყოფოები:

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მ., ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიპოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაც და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა. კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

კუკიისა. ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა ექიმი ნ. კასუმოვი.

ხარფუხისა. ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალის სამკურნალო. კრილოვის ქუჩა, ველიკოკნიაჟის ქუჩის კუთხე. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას გამგე პუტიატა.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფლისის ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.
ქ 1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელქიანცისა.
2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

სახალხო ბიბლიოთეკები

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების"

ტფილისში:

1. სასახლის ქუჩაზე, თავად-აზნაურობის
ღია არის დილით 10—2 საათ.
" " საღამ. 5—7 "
კვირა-უქმე—დილით 11—1 "
2. ნაძალადევში, ვოდოპროვოდის ქუჩა, №
ღია არის დილით 10—2 საათ.
" " საღამ. 5—9 "
3. ოლგას ქუჩაზე, სახლი № 19.
ღია არის დილით 10—2 საათ.
" " საღამ. " 5—8

Дозволено цензурою, Тифлисъ, 26 феврал 9501 г.